# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ხუთშაბათი, 13 ნოემბერი 1997 №144 (509) ფასი 40 თეთრი


## 13 ტური

თსუ 0:0 ტორპედო
ლოკომოტივი 2:1 დილა
ბათუმი 4:0 მეტალურგი
სიონი 2:2 მერანი
კოლხეთი 0:1 ოდიში
გურია 0:4 დინამო
მაღაროელი 2:1 მარგვეთი
მორკინალი 2:0 სამგურალი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 10 | 9 | 1 | 0 | 32:4 | 28 |
| ოდიში | 12 | 9 | 1 | 2 | 22:11 | 28 |
| ბათუმი | 12 | 8 | 3 | 1 | 29:10 | 27 |
| თსუ | 13 | 7 | 3 | 3 | 21:10 | 24 |
| კოლხეთი | 13 | 6 | 2 | 5 | 26:15 | 20 |
| მორკინალი | 13 | 4 | 5 | 4 | 15:13 | 17 |
| დილა | 13 | 5 | 1 | 7 | 13:20 | 16 |
| ლოკომოტივი | 13 | 4 | 4 | 5 | 15:22 | 16 |
| მერანი | 13 | 6 | 2 | 5 | 19:16 | 15 |
| ტორპედო | 12 | 3 | 6 | 3 | 17:16 | 15 |
| სამგურალი | 13 | 4 | 2 | 7 | 17:28 | 14 |
| მეტალურგი | 12 | 4 | 0 | 8 | 13:20 | 12 |
| მაღაროელი | 13 | 3 | 2 | 8 | 12:30 | 11 |
| გურია | 13 | 2 | 4 | 7 | 13:28 | 10 |
| სიონი | 12 | 3 | 5 | 4 | 17:16 | 9 |
| მარგვეთი | 13 | 1 | 3 | 9 | 11:32 | 6 |



გუშინწინ ვაკეში. „ლოკომოტივი“ — „დილა“: გვაზავამ ყოფილ თანაგუნდელებს ასე გაუტანა პირველი გოლი

# ვითომ შეგვერგება?!

გუშინ ფეხბურთის ფედერაციაში სადისციპლინო კომიტეტი შეიკრიბა, რათა ეროვნულ ჩემპიონატში დაგროვებული დარღვევები გაერჩია. პირველად მეორე ჯგუფელი „აკადემიის“ თავგადასავალი განიხილეს. ამათ ჯგუფის ლიდერთან თბილისელ არმიელებთან მატჩში მოედანზე წესრიგი სათანადოდ ვერ უზრუნველყვეს, რის გამოც მთავარი მსაჯი თამაზ ლაცაბიძე დაზარალდა. სადისციპლინო კომიტეტმა ყველას მოუსმინა, მათ შორის ლაცაბიძესაც და ასე გადაწყვიტა: პოლიციელთა „აკადემია“ სეზონის ბოლომდე პირობითი დისკვალიფიკაციით დაისაჯოს, კლუბის ხელმძღვანელებს სასტიკი საყვედური გამოეცხადათ, ხოლო კლუბი 300 ლარით დაჯარიმდა.

ჯერი ყიფიანის საქმეზე მიდგა. განხილვას „დინამოს“ მთავარი მწვრთნელიც დაესწრო და, „საქმეში გასული“ ყველა პირიც. გვარიანი სჯა-ბაასის მერე საბოლოო ვერდიქტიც შეგვატყობინეს. როგორც ირკვევა, დავით ყიფიანმა აღიარა და მოინანია დანაშაული. მწვრთნელი და მსაჯიც შერიგებულან, ყიფიანს ბოდიშიც მოუხდია მსაჯისთვის და ჭიათურის საზოგადოებისთვის და საერთოდ, ყიფიანი მომხდარის გამო ერთობ შეწუხებული ყოფილა. სადისციპლინო კომიტეტმა ისიც გაითვალისწინა, რომ კლუბის ხელმძღვანელობამ მწვრთნელი თავის მხრივაც დასაჯა. ყიფიანი ერთი თვის ხელფასს და ორი გამარჯვებისთვის წილ პრემიალურს ვერ მიიღებს. ისიც გაიხსენეს, რომ „დინამოს“ ისტორიაში, რაც ეროვნული ჩემპიონატი ტარდება, ეს პირველი შემთხვევა იყო. ყიფიანს სასტიკი საყვედური გამოეცხადა, კლუბი კი 500 ლარით დაჯარიმდა.

ბოლო საკითხად მესამე ჯგუფის აღმოსავლეთის ზონის „ყვარელის“ და „იბერიას“ ამბავი გაირჩა. კახელებმა თბილისელებს 3:2 კი მოუგეს, მაგრამ მტრისას, იქ ამბავი დატრიალებულა. სადისციპლინო კომიტეტს „დინამოს“ ამბის გარჩევა ისე არ გასჭირვებია, როგორც ამათი საქმე გაიწელა. ის კი არა, პოლემიკამ და კამათმა დერეფანში გადაინაცვლა. საქმე ისეთი ჩახლართული აღმოჩნდა, რომ მტყუან-მართლის გარჩევა სადისციპლინო კომიტეტისთვის შეუძლებელი შეიქნა და მისმა წევრებმა ყველაზე იოლი გამოსავალი მოძებნეს — „ყვარელი“ — „იბერიას“ შედეგი გაუქმდა და გადათამაშება დაინიშნა.

რა თქმა უნდა, ჩხუბს და აყალმაყალს მუდამ კომპრომისი და მორიგება სჯობს, მაგრამ დებულებაში რომ სხვაგვარად წერია. მსაჯების თუ დელეგატების ცემა-ტყეპა თქვენ აწი ნახეთ, აქაოდა, 5 ქულას არავინ ჩამოგვართმევსო, გუნდები უმართავნი გახდებიან. მეხუთე პარაგრაფის მეხუთე მუხლში გარკვევით წერია: თამაშის მსაჯის ან დელეგატის ფიზიკური შეურაცხყოფისთვის დამნაშავე გუნდს დაეკისრება ფულადი ჯარიმა და ჩამოაკლდება 5 ქულა. ფედერაციამ დებულება ჯერ კიდევ შარშან დაარღვია, როცა „ბათუმს“ ორჯერ მოეფერა. სამაგიეროდ, „სიონი“ და „კახეთი“ სანიმუშოდ დასაჯა. ამის შემყურე ბოლნისელები მთლად რომ გაგიჟდნენ, რა გასაკვირია. ამიტომ დაფიქრება და წესების ზედმიწევნით დაცვა ხომ არ აჯობებდა, თორემ ისე გამოდის, ჩვენივე დასაკლავ დანას ჩვენვე გამოვთხრით.

მამუკა ძვანტალიანი

ფოთი
„ფაზისი“
11 ნოემბერი

## კოლხეთი 0:1 ოდიში

**კოლხეთი:** მ. გვასალია, მიქაბერიძე, კაკაჩია, გიორგაძე, გოროზია, ლალანიძე, ამაშუკელი, ქუნთელია, ე. გვასალია, წივწივაძე, მ. ქობულაძე (ტორჩინავა 25)
**ოდიში:** სოლოლაშვილი, ახვლედიანი, ლურსმანაშვილი, ანჯაფარიძე, ტყემალაძე, ებრალიძე, ჩადუნელი, ენდელაძე, კაიდარაშვილი, წიტაიშვილი (რევაზიშვილი 89), კალანდაძე
0:1 წიტაიშვილი (88)
**გაფრთხილება:** ე. გვასალია, ენდელაძე, გოროზია
**გაძევება:** ენდელაძე (70)
**მსაჯი:** ს. კახიანი (თბილისი)

# ბედს თუ უნდა...

იუზა კაციტაძე ფოთიდან

ფოთი — ზუგდიდის (და პირიქით) შეხვედრები ყოველთვის პრინციპული ხასიათისა იყო. აღრინდელ ორთაბრძოლებს თუ გავიხსენებთ, ერთ კანონზომიერებას ადვილად მიაგნებთ — ამათ მატჩებში მეტწილად მასპინძელი ზეობს. გასულ ჩემპიონატშიც ხომ ასე მოხდა. ზუგდიდში „ოდიშმა“ დიდი ანგარიშით 4:1 იმარჯვა, მერე ფოთში ჩავიდა, „ფაზისზე“ ერთი ბურთიც გაიტანა, მაგრამ რა? კოლხებმა სტუმრებს ექვსი უსახსოვრეს.

მეტოქეთა პირად ანგარიშს რომ თავი დავანებოთ, ამჯერად მათ შეხვედრას სატურნირო ინტრიგაც ახლდა. ორივე გუნდს ჩემპიონატის მედლებზე უჭირავთ თვალი. „ოდიში“ გათამაშების ლიდერებშიცაა. ორმა შინაურმა მარცხმა „კოლხეთი“ უკან კი დახია, მაგრამ არც იმდენად, რომ პერსპექტივაში დაწინაურებულებს ვერ დაეწიოს...

საწყისი ათი წუთი გუნდებმა ერთმანეთის დაზვერვას მოანდომეს. ფრთხილად, მოკლე პასებით აკონტროლებდნენ ბურთს, დაკარგვის შემთხვევაში კი უმალ დაცვას ამაგრებდნენ. დროის ამ მონაკვეთში საინტერესოც არაფერი შექმნილა. მასპინძელთა უპირატესობა თანდათან გამოიკვეთა: ისინი ჯერ შორეული დარტყმებით შეეცადნენ სოლოლაშვილის კარის დალაშქვრას. მე-12 წუთზე გოროზიამ გაიწია თავდამსხმელთა დასახმარებლად, დროული და ზუსტი პასი მიიღო ლალანიძისგან და ასე 22 მეტრიდან ძლიერადაც დაარტყა, მაგრამ ოდნავ არაზუსტად. ორიოდე წუთში ელდარ გვასალიას გასროლილსაც იგივე ბედი ეწია. მერე კოლხებმა თამაში გაშალეს. ფლანგებზე ამაშუკელის და ლალანიძის გააქტიურებას ოდიშთა კარზე მძლავრი დაწოლა მოჰყვა. სწორედ ფლანგური შეტევის შემდეგ აღმოჩნდა გოროზია უალრესად ხელსაყრელ პოზიციაში და საჯარიმოს წინა ხაზიდან კარში დარტყმაც მოასწრო, მაგრამ სტუმრები ძელმა იხსნა. ეს მე-20 წუთზე მოხდა. აქედან მოყოლებული ტაიმის დასრულებამდე თამაში სტუმართა ნახევარზე მიმდინარეობდა და ზუგდიდელები სულ მცირე, ხუთჯერ მაინც გადაურჩნენ გოლს. ლალანიძეს, წივწივაძეს, ამაშუკელს, ორჯერ მიქაბერიძეს მიეცათ გატანის კარგი შანსი, მაგრამ ვერ იხეირეს. ერთი, რომ მათ ფატალურად არ უმართლებდა, მეორეც, მართლაც რომ სანაქებოდ ირჯებოდა სოლოლაშვილი.

ზუგდიდელებში ყველაზე შესამჩნევი ფიგურა მეკარე გახლდათ. 55-ე წუთზე მან ზედ თავზე ააცალა ბურთი წივწივაძეს, არადა, გოლი გარდაუვალი ჩანდა. სოლოლაშვილმა შემდგომშიც ბევრჯერ ივაჟკაცა: განსაკუთრებით კი 74-ე და 79-ე წუთებზე, როდესაც მიქაბერიძეს აულო ახლოდან დარტყმულები და 87-ე წუთზეც, ლალანიძის უძლიერესი საჯარიმო კუთხურზე რომ მოიგერია.

ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, რა დღეშიც იქნებოდა კოლხთა გუნდი — მთელი თამაში შეტევებში გალია და მხოლოდ ქულას უნდა დასჯერებოდა. მასპინძლებს ვერც რიცხობრივ უპირატესობაში დარჩენამ უშველა — ბოლო ოცი წუთი ზუგდიდელები ათნი იცავდნენ თავს, რადგანაც ენდელაძემ მეორე გაფრთხილება მიიღო და მოედანი დატოვა. ჰოდა, ვინ იფიქრებდა, რომ „კოლხეთს“ უარესი ელოდა. 65-ე წუთი იყო, როცა სტუმრებმა პირველად შააწუხეს კოლხთა გოლკიპერი. ჩადუნელის გადაცემის შემდეგ კალანდაძემ ოცი მეტრიდან მამუკა გვასალიას კუთხეში ძლიერი დაბალი დაურტყა. მაშინ მეკარე გრძელ ნახტომში ძელთან მისწვდა ბურთს და მდგომარეობა განმუხტა. თამაშის მიწურულს ანალოგიური სიტუაცია შეიქმნა. ჩადუნელმა მარცხენა ფლანგზე იმარჯვა, ორ მეტოქეს დაუსხლტა და ბურთი საჯარიმოსკენ კალანდაძის მისამართით გაგზავნა. მასპინძლებს დაცვის ცენტრი გაშიშვლებული დარჩენოდათ და ჯონიმაც უმალ მოირგო ბურთი, თითქმის იგივე ადგილიდან არც თუ ძლიერად, მაგრამ ზუსტად დაარტყა. მეკარე ამჯერად უძლური აღმოჩნდა. ბურთი კარის ხაზს ალბათ მაინც გადაკვეთდა, მაგრამ წიტაიშვილმა ყოველი შემთხვევისთვის, მას კუთხეში მიუსწრო და გატანის პროცედურა დააჩქარა...

მოკლედ, მატჩი მოულოდნელი, არალოგიკური შედეგით დასრულდა. „ოდიშმა“ არანაკლებ პრინციპული თსუ-სთან თამაშის წინ ძლიერი დოპინგი მიიღო. „კოლხეთი“ კი... არ ვიცი, რით ვანუგეშო, არადა, კვირას ბათუმშია ჩასასვლელი.

ლანჩხუთი
„ევგრაფი შევარდნაძე“
11 ნოემბერი

## გურია 0:4 დინამო

**გურია:** გოგუა, ლურწკაია, კვეკვესკირი, ლორია, ჯაშიაშვილი, თიბილაშვილი, ჭელიძე (ქიქავა 69), პატარაია, ჩხეტია, ბერიძე (იზორია 58), ბულუხია
**დინამო:** ქანტურია, კალაძე, ჯელაძე, დიდავა, ცქიტიშვილი, გუჩუა (კიკნაძე 68), ჩიხრაძე, ალექსიძე, გოგიჩაიშვილი (გოგობერიშვილი 71), მუჯირი (დემეტრაძე 60), ხომერიკი
0:1, 0:2, 0:3 ხომერიკი (24, 58, 63), 0:4 ალექსიძე (70)
**გაძევება:** დემეტრაძე
**მსაჯი:** გ. ასკარ-ოღლი (ქარელი)

ბათუმი
ცენტრალური
11 ნოემბერი

## ბათუმი 4:0 მეტალურგი

**ბათუმი:** ტოგონიძე, ი. მახარაძე, მინდაძე, სიქინავა, გ. შეყილაძე, თორლაშვილი, მ. მახარაძე, ჭიჭვეიშვილი, მაქუტაძე, ჩუხუა, ლლონტი (აფხაზავა 64)
**მეტალურგი:** ქორიძე, ფაცურია, სილაგაძე (მიკუჩაძე 65), კედელაშვილი, მიშველაძე (ლაბაძე 60), ზირაქაძე, მელაძე, არსოშვილი, მინდიაშვილი, გოგოლაძე (ა. შეყილაძე 58), კ. ალადაშვილი
1:0 ჭიჭვეიშვილი (18), 2:0 ლლონტი (40), 3:0 ჩუხუა (49), 4:0 მაქლუტაძე (613)
**გაფრთხილება:** ი. მახარაძე
**მსაჯი:** პ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

# „აზოტი“ ყველას მოერია

ამ შეხვედრას კარგა ხანია ელოდნენ გულშემატკივრები — ბოლო წლების ჩვენი ჩემპიონატის უცვლელი ლიდერი წლევანდელი პირველობის ლიდერის წინააღმდეგ, ადრე უძლეველი „ვითა“ წლევანდელ პირველობაში უძლეველი რუსთაველების წინააღმდეგ. შეძლებდა თუ არა ჩემპიონი რუსთაველთა ძლევამოსილი სვლის შეჩერებას?


იხილეთ მეხუთე გვერდი




რუსთაველმა გოგობერიშვილმა ვითელების ორმოცაძის და კორძაძის (10) დაცვა გაარღვია

ბოლნისი
„თამაზ სტეფანია"
11 ნოემბერი

**სიონი 2:2 მერანი**

**სიონი:** ჩლაიძე, უკლება (ისიანი 23), ყაველაშვილი, ყიფშიძე, ნიკლაური, ტრაპაიძე, ხოსროშვილი (გ. ჩომახიძე 90), შაკიაშვილი, გოგოლაძე (ჭანკვეტაძე 37), ტყავაძე, ტარტარაშვილი
**მერანი:** გვენცაძე, დანელია, გოგიტაძე, სიდამონიძე, კაკუბავა, ჯიშკარიანი (ბერაია 68), ინიაშვილი, ცქიფურიშვილი, ბაბულაიძე (ჭინჭარაული 57), გოდერძიშვილი, დავითაშვილი
1:0 ტრაპაიძე (41), 2:0 ისიანი (56), 2:1 გოდერძიშვილი (82), 2:2 დანელია (90)
**მსაჯი:** მ. მალაღურაძე (თბილისი)

მამუკა კვანტალიანი ბოლნისიდან

# ჯერ მალაღურაძის, მერე ბედისწერისო

ფედერაციასა და „სიონს" შორის დიდი ხანია შავმა კატამ გაირბინა. მას შემდეგ ჩვენი ფეხბურთის თავკაცებს ბოლნისი აულებელ ციხე-სიმაგრედ ექცათ. იქაურებს ფედერაციისა არაფერი სწამთ და ყოველ საშინაო თამაშში ლანძღვა-გინებას არ აკლებენ. არავინ იცის, როდემდე გაგრძელდება ასე.

გუშინწინ ბოლნისში ჩასვლას არავინ მირჩევდა. უინტერესო მატჩი იქნება, ტყუილად გაირჯები, ჩაწყობილი თამაშიაო. ბევრის აზრით, გარიგება მაშინ შედგა, როცა „მერანმა" სტუდენტებს ბოლნისში უმასპინძლა, ადგილობრივმა გულშემატკივარმა კი ავჭალელებს ქომაგობა არ დაამადლა. მოკლედ, წინასამატჩო პროგნოზი მშვიდობას ქადაგებდა. მართლაც, სტუმარ-მასპინძელი მშვიდობიანად გაიყარა, მაგრამ ვაი ასეთ მშვიდობას... და კიდევ, გუშინწინ ნანახი თუ დადგმული სპექტაკლი გახლდათ, მაშინ აფერუმ ორივე გუნდის ვაჟკაცობას — ჩვენებურებს კაცური ჩაწყობები უსწავლიათ. მე კი მგონია, რომ მინდორზე ნაღდი ბრძოლა ვიხილე.

რაც ეროვნული ჩემპიონატი დაგვიწყია, მას შემდეგ „სიონი" და „მერანი" ერთმანეთს ათჯერ შეხვდნენ. თქვენ წარმოიდგინეთ, ყველა ორთაბრძოლა ფრედ დამთავრებულა. ცოტა უცნაური ტრადიციაა, არა?! გუშინწინ „სიონს" ნავსის გატეხვა შეეძლო, მიზანთანაც ახლოს იყო, მაგრამ... ყველაფერი მალაღურაძის და ბედისწერის ბრალიაო, გაჰყვიროდნენ მატჩის მერე აღშფოთებული ბოლნისელები. ეს ფრე ვისი და რისი ბრალი იყო, აუცილებლად განვიხილავთ, მაგრამ რომ ვერ გაიმარჯვეს, ამაში უპირველესად თავად სიონელებს ვადანაშაულებ.

უცნაური გუნდია „სიონი". მთელი სეზონი წუწუნებენ, ხელფასი არ მიგვიღია, სახსრები არ არის, არ ვვარჯიშობთ, არავინ გვპატრონობსო. მიუხედავად ამისა, გუნდი მაინც თამაშობს, ზოგჯერ საკმაოდ კარგადაც და მთლად ურიგოდ როდი გამოიყურება; უძლიერესთა შორისაც უპრობლემოდ ინარჩუნებს ადგილს. „სიონს" კიდევ ხუთი ქულაც რომ ჩამოაკლოთ, მაინც პირველ ჯგუფში დავრჩებითო — ამბობენ ბოლნისელები. რატომღაც მგონია, წუწუნის ტაქტიკას საგანგებოდ მიმართავენ, რათა მოწინააღმდეგემ იფიქროს, გუნდი დაშლილაო და ყურადღება მოადუნოს, ასეთს კი „სიონი" იოლად სძლევს. ასე იყო გუშინწინაც. ყველაფერი წუწუნით დაიწყო და...

სხვათა შორის, მსაჯები ბოლნისში თამაშამდე ხუთი წუთით ადრე ჩამოვიდნენ, რის გამოც მატჩი ხუთი წუთით გვიან დაიწყო.

„სიონმა" 65 წუთი კარგად ჩაატარა. მასპინძლებს ყველაფერი გამოსდიოდათ და ეს, პირველ რიგში, ბუბა ტყავაძის დამსახურებად მიმაჩნია. ბოლნისელებმა სულ ცოტა ათი ასპროცენტიანი საგოლე მომენტი შექმნეს. პირველ ნახევარში კი მხოლოდ ერთხელ გაიხარეს. ადვილი როდი იყო მერანელი გვენცაძის კარის დალაშქვრა — იგი წარმოუდგენელ ბურთებს იგერიებდა.

სტუმართა თავკაცი დაფიქრებული უცქერდა თავისიანების გარჯა, ხოლო როცა ტაიმის მიწურულს ჭანკვეტაძის პასმა „მერანის" მცველები კიდევ ერთხელ დააბნია და ტრაპაიძემ გოლიც შეაგდო, აღშფოთება ვერ დამალა. შესვენებაზე ჯანელიძემ ფეხბურთელები საკმაოდ შეახურა, ცვლილება-გადაადგილებები მოახდინა და მეორე ტაიმში სხვა „მერანი" ვიხილეთ. თუმცა, არც მეორე ნახევრის დასაწყისი უქადდა სტუმრებს სიკეთეს. ტყავაძემ ახალგაზრდა ისიანს უპასა მახვილგონივრულად და მასპინძელთა ნახევარმცველმა მოჭრილი დარტყმა ოსტატურად შეასრულა — გვენცაძე არც განძრეულა. ორი ბურთით დაწინაურებამ მასპინძლები ერთობ დაამშვიდა, სტუმრები კი შეტევებს მიეძალნენ. თამაშმა „სიონის" ნახევარზე გადაინაცვლა. „მერანმა" ზურგი მოიშიშვლა და არაერთი სახიფათო კონტრშეტევაც გაეპარა, მაგრამ თავდამსხმელებმა ზედმეტი მოინდომეს, მეტოქის უპატივცემულობისთვის კი ყველა ისჯება.

და მაინც, რომ არ 81-ე წუთის სადავო მომენტი, არეულობა არ დაიწყებოდა. „მერანმა" კუთხური ჩააწოდა. მასპინძლებმა იგი უმალ მოიგერიეს და ბურთი ცენტრში მდგარ ტყავაძეს გადაუგდეს. ეს ყველაფერი ჩემგან საპირისპირო მხარეს, 60 მეტრის დაშორებით ხდებოდა, მაგრამ მაინც მომეჩვენა, რომ მცველმა წესების დარღვევით აართვა ბურთი ტყავაძეს. მალაღურაძემ თამაში გააგრძელა. კიდევ ოთხი-ხუთი პასი და საჯარიმოს წინ ბურთი გოდერძიშვილმა მიიღო. არ დაუხანებია, ჩლაიძეს მარჯვენა დაბალ კუთხეში დაურტყა და გოლიც გაიტანა. აირია მონასტერი, გაქვითულ ბურთს გინება და მსაჯის გადაწყვეტილების გაპროტესტება მოჰყვა, მაგრამ „სიონი" ჯერაც იგებდა და ყველაფერი დროებით ჩაწყნარდა.

მატჩი გაგრძელდა. ჩემს საათზე დრო ამოიწურა და უკვე 91-ე წუთი მიმდინარეობდა. მასპინძლები მსაჯს თამაშის დამთავრებას სთხოვენ, მაგრამ მალაღურაძე თავის წამზომს დასცქერის და ფეხბურთლებს სიმშვიდისკენ მოუწოდებს. გძელიძე დროის გაყვანის მიზნით შეცვლას აკეთებს. კიდევ ორიოდ წუთი გადის და სტუმარ დანელიას ზუსტად იმ ადგილიდან ისეთივე გოლი გააქვს, როგორიც გოდერძიშვილმა შეაგდო.

მოსახდენი მერე ხდება. მინდორზე შეჭრილი რეხვიაშვილი და გძელიძე მალაღურაძეს წამზომს უჩვენებენ. ბოლნისის გამგებელი ადგილს მოწყდება, თან მატჩის კომისარს გაიყოლებს და პოლიციელებს დარაზმავს — გაგიჟებულმა გულშემატკივრებმა მსაჯები არ მოკლანო. მასპინძლები ცენტრიდან თამაშის დაწყებას აჭიანურებენ და მსაჯს ეკამათებიან ამ გაწამაწიაში მალაღურაძის საფინალო სასტვენი გაისმის. პოლიცია ფხიზლად კია, მაგრამ ვიღაც ახერხებს და წყლით ნახევრად გავსებულ „კოკა-კოლას" ლიტრნახევრიან პლასტიკატის ბოთლს მთავარ მსაჯს თავში უთავაზებს. არბიტრები გასახდელში შეჰყავთ. იქ მათ ვეღარავინ გაეკარება, მაგრამ ახლა სტადიონიდან გაყვანაა პრობლემა. მსაჯები და კომისარი მანქანაში ჩასხეს. მანქანას — წიხლები, მალაღურაძეს კი გინება არ მოჰკლებია, მაგრამ გამგებელმა და პოლიციამ ვნებათაღელვა ჩააცხრეს. მსაჯები ქალაქიდან პოლიციამ გააცილა.

ბოლოს, ჩემს აზრს მოგახსენებთ. გუშინწინ მალაღურაძემ ორიოდ უნებლიე შეცდომა დაუშვა, სხვათა შორის, ორივე გუნდის სასარგებლოდ. პირველ სადავო მომენტზე უკვე გითხარით, რაც შეეხება მსაჯის მიერ წამატებულ დროს, ამაში მალაღურაძეს ვერავინ შეედავება. მთავარი განმსჯელი თავისი წამზომით აფიქსირებს დროს და მხოლოდ თავად უწყის, როდის დაამთავრებს მატჩს.


**სარეკლამო სააგენტო**
**კოკი და კომპანია**

**რეკლამის დამზადება**

1. ფარების დამზადება, მოხატვა და განთავსება მოკლე ვადაში
2. განათებული აბრების დამზადება
3. ფერადი წებოვანი რეკლამები
4. სარეკლამო საათებზე რეკლამის განთავსება

**კომპიუტერული მომსახურება**

ესკიზების, ბუკლეტების, სავიზიტო და მოსაწვევი ბარათების დამზადება

**25% ფასდაკლებით!!!**

მისამართი: ალ. ყაზბეგის 42
ვაჭრობის სამინისტრო, 2 კორ. 3 სარ.

ტელ. 95 96 56


თბილისი
„შევარდენი"
12 ნოემბერი

**მორკინალი 2:0 სამგურალი**

**მორკინალი:** გვარამაძე, ამბიძე, კველიშვილი, ვაშაკიძე (დვალიშვილი 12), ასპინძელაშვილი, ცომაია, ლაპიაშვილი, მაისურაძე, პეტრიაშვილი, ჭუმბურიძე, ზირაქიშვილი
**სამგურალი:** ბობოხიძე, დ. ქელიძე, ფრანგიშვილი, კოლუაშვილი, გ. ჯანელიძე (მახვილაძე 70), ძაგნიძე, გიორგობიანი, სუხიაშვილი, გელაშვილი (დარსაძე 62), ხურცილავა, კ. ჯანაშია (ქუთათელაძე 79)
1:0 ამბიძე (55), 2:0 პეტრიაშვილი (58)
**გაფრთხილება:** ფრანგიშვილი
**მსაჯი:** ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

მერაბ მამულაშვილი

# შემოსეთ მორკინალი წითლად!

ტრადიციულად ლურჯი „მორკინალი" თამაშის წინ იძულებით გაწითლდა — მეტოქეებს მსგავსი ფორმა აღმოაჩნდათ და მასპინძლებს მეტი რა გზა ჰქონდათ, სათადარიგო წითელი ფერის მაისურები მოირგეს. აღნიშნულმა ეპიზოდმა კიდევ ერთხელ წარმოაჩინა ქართული გუნდების მძიმე ფინანსური მდგომარეობა — თბილისელებს მეორე კომპლექტი არასრული ჰქონიათ, რამაც შეხვედრის მსვლელობისას იჩინა თავი. მე-8 წუთზე საჰაერო ორთაბრძოლისას უნებლიედ წარბგახეთქილი ვაშაკიძის შემცვლელი დვალიშვილი თანაგუნდელებისგან ველარ გამოიყურებოდა, თანაც ნომერი ცარცით მიეწერათ. მერე კი ეს ფორმაც შემოეხა... თუმცა, უფორმო მასპინძლებმა ფორმიანი წყალტუბოელების დაჩოქება მაინც შესძლეს, მიუხედავად სამი ფეხბურთელის — გოგოლაძის, აბაზაძისა და კაპანაძის ტრავმისა. ამას თუ დავუმატებთ მცველ ვაშაკიძის ზემოაღნიშნულ ტრავმასაც, მიხვდებით, რა დღეში ჩავარდებოდნენ მორკინალნი. მაგრამ...

სხვათა შორის, წყალტუბოელებს მასპინძლებთან რევერანსებით არ დაუწყიათ შეხვედრა. თავიდანვე ეკვეთნენ და მისხალი რაა, იმასაც არ უთმობდნენ თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ძირითადად ბურთი საჯარიმომდე ვერც აღწევდა. მერე ნელ-ნელა თამაში გაიხსნა და მთლად ურიგო საცქერალიც არ აღმოჩნდა, მაგრამ ეს უფრო მეორე ტაიმზე ითქმის. პირველში მასპინძელთა ნახევარმცველებს — მაისურაძესა და ჭუმბურიძეს, ისევე როგორც წყალტუბოელ გელაშვილს, თავისიანთა დაწინაურების შანსი ჰქონდათ, მაგრამ ეს მხოლოდ მეორე ნახევარში შესძლეს. საქმე სამ წუთში მოთავდა — 55-ე წუთზე ჯარიმა დაინიშნა, რომლის დარტყმასაც თავდაპირველად ჭუმბურიძე აპირებდა, მაგრამ ამბიძემ ისე დაიჩემა, ეტყობა, გულმა წინასწარ უგრძნო — დარტყმა მეტად ეფექტური გამოდგა, ბურთი ბუმერანგივით მოიჭრა და ბობოხიძე სახტად დატოვა. 58-ე წუთზე კი გოლი ზირაქიშვილის დაუდგრომლობას მოჰყვა — ბრძოლაში მოპოვებული ბურთით ფლანგზე გაიჭრა, ხაზიდან კარის წინ ჩაჰკიდა და პეტრიაშვილმა ლამაზი თაურით ანგარიში ორამდე გაზარდა. ამის შემდეგ კვლავ ეს ორი ერთდროულად დარჩა მეკარესთან პირისპირ, მაგრამ ამჯერად მცველებმა იყოჩაღეს, თავის მხრივ ვერც წყალტუბოელმა ძაგნიძემ იხეირა, მას გვარამაძემ აჯობა და თბილისელებმა ხუთმატჩიანი წარუმატებლობის შეწყვეტა მოახერხეს. როგორც ჩანს, წითელი ფერის მაისურები „მორკინალისთვის" იღბლიანი აღმოჩნდა. და თუ საქმე მხოლოდ ფერებშია...



ცომაიას „პადკატს" ძნელად ვინმე გაექცეს

ბადრი [illegible] ფოტო

ჭიათურა
„მაღაროელი"
11 ნოემბერი

**მაღაროელი 2:1 მარგვეთი**

**მაღაროელი:** გველესიანი, კიპაროიძე, იობაშვილი, ახანიძე, გაბრიჭიძე, ტეფნაძე, მენაბდიშვილი, ბუიშვილი, სამხარაძე, კავთელაძე, მწყერაშვილი (შევილაძე 88)
**მარგვეთი:** ნიქაბერიძე, ხელაძე, ჟვანია, მორალიშვილი (სახელაშვილი 78), ლონლაძე, კაციაშვილი, სულაკაძე, მალაღურაძე, ფოცხვერაშვილი, კაკაბაძე, შავგულიძე (გოგაძე 75)
**გაფრთხილება:** ბუიშვილი, სამხარაძე, მორალიშვილი, კაციაშვილი
**გოლი:** 1:0 კიპაროიძე (22), 1:1 ფოცხვერაშვილი (42), 2:1 მენაბდიშვილი (60)
**მსაჯი:** თ. ლორთქიფანიძე (თბილისი)

ბესიკ ჯანგავაძე ჭიათურიდან

# მენაბ(ე)დი(ს)შვილი

ფინანსების მხრივ ორივე გუნდი გაჭირვებულ დღეშია. ალბათ, სწორედ ამიტომაცაა, რომ ორივენი არამარტო ტერიტორიულად, სატურნირო ცხრილშიც მეზობლები არიან. ძნელი სათქმელია, რატომ იყო მათი თამაში მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში აგრერიგად უგერგილო. აკი მასპინძლები საკუთარ მინდორზე მთელი თავდადებით თამაშობენ და ყველა მეტოქისთვის საკმაო ძალას წარმოადგენენ.

ყველასდა გასაკვირად, სტუმრებმა მატჩის დაწყებისთანავე იგდეს თამაშის სადავეები ხელთ და ტაიმის ბოლომდე სრულ ტერიტორიულ და სათამაშო უპირატესობას ფლობდნენ. ზესტაფონელთა ახალგაზრდა ფორვარდმა ლევან შავგულიძემ დასაწყისშივე ორჯერ სცადა ბედი, მაგრამ მისი ჯერ შორიდან დარტყმული და შემდეგ თავით დამიზნებული იმდენად სუსტი იყო, რომ ჭიათურელთა გოლკიპერს დიდი ჯაფა არ დასდგომია მათ მოსაგერიებლად. სტუმრები საკმაოდ ეფექტურად იყენებდნენ აუტებს, მეტოქის საჯარიმოს ახლოდან ლონლაძის მიერ ჩაწოდებული ბურთი მეკარის ბაქანს აღწევდა და საკმაო საფრთხეც იქმნებოდა. სწორედ ერთ-ერთი ასეთი აუტის შემდეგ გაქვითეს ანგარიში მარგველებმა ტაიმის მიწურულს. მეკარემ და მცველებმა ერთმანეთს ვერ გაუგეს, რითაც ისარგებლა კარის წინ ეულად მდგარმა ფოცხვერაშვილმა, რომელსაც ისღა დარჩენოდა, ბურთი ცარიელ კარში შეეგორებინა.

ანგარიში კი ჭიათურელებმა ტაიმის შუა წელში გახსნეს, როდესაც მთელი პირველი ნახევრის განმავლობაში, ზედიზედ ორად ორი სახიფათო შეტევა განახორციელეს — ჯერ კავთელაძის თავით დარტყმული ბურთი ჟვანიამ ცარიელი კარიდან გამოიტანა, მომდევნო შეტევას კი ზესტაფონელებმა ვერაფერი დაუპირისპირეს და ტანმაღალმა კიპაროიძემ თაური დარტყმით შააგდო.

მეორე ნახევარში თამაშის სურათი რადიკალურად შეიცვალა. ამჯერად ჭიათურელთა გამუდმებულმა შეტევებმა მიაჯაჭვა სტუმრები საკუთარ საჯარიმოს. გადამწყვეტი გოლი კი ერთობ საეჭვო ვითარებაში გავიდა — კავთელაძემ მოედნის ცენტრიდან მეტოქის მცველების ზურგს უკან ჩაჰკიდა, სადაც ბურთს მენაბდიშვილი დაუხვდა. ზესტაფონელებს თამაშგარე ეგონათ, თანამსაჯმა შალამბერიძემ კი სხვაგვარად ჩათვალა. ჭიათურელთა ფორვარდმაც გამარჯვების გოლი გაიტანა. მიუხედავად ზესტაფონელთა დაჟინებული მცდელობისა, გოლი გაეპროტესტებინათ, მსაჯმა გადაწყვეტილება არ შეცვალა და მენაბდიშვილმა საკუთარ მინდორზე ორჯერ ზედიზედ იხსნა გუნდი მისთვის არასასურველი შედეგისგან.

თბილისი
„26 მაისი"
11 ნოემბერი

**ლოკომოტივი 2:1 დილა**

**ლოკომოტივი:** ვოლკოვი, ქვარცხავა, ყორყიკაშვილი (ენუქიძე 79), ბარნოვი, ქველაძე, კოტორაშვილი, კვეტენაძე, არჩვაძე, დაუშვილი, გვაზავა (ჩიგოშვილი 72), მესხიძე (ბაქრაძე 40)
**დილა:** ილურიძე, ბალაშვილი, ს. გაგნიძე, ჯ. გაგნიძე, თარხნიშვილი, წკრიალაშვილი, მარეხაშვილი (ციცქიშვილი 46), ჩიტაია (გ. ლომიძე 46), შატაკიშვილი (მარლიშვილი 46), აკოფიანი, მ. მინდიაშვილი
1:0, 2:0 გვაზავა (10, 28), 2:1 ციცქიშვილი (74)
**გაფრთხილება:** მარლიშვილი
**გაძევება:** კოტორაშვილი, თარხნიშვილი (58)
**მსაჯი:** ლ. ფანიაშვილი (თბილისი)

კობა ინასარიძე

# მოდის მატარებელი

...როგორც კი ფანიაშვილმა ჩასტვინა, აშკარა გახდა — „ლოკომოტივი" პირველსავე ტაიმში შეეცდებოდა საქმის მოთავებას. მასპინძლები თავიდანვე დაეუფლნენ უპირატესობას და მწვავედ შეუტიეს. „დილა" მხოლოდ თავს იცავდა, კონტრშეტევებზე ცდილობდა მეტოქის გამოჭერას, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. თბილისელთა ნაჯაფარს აუცილებლად გოლი უნდა მოჰყოლოდა. გორელი მცველები უხეშად შეცდნენ, ყორყიკაშვილის კუთხურიდან ჩამოწოდებულს გვაზავას გარდა არავინ შეგებებია და მანაც, მეკარესთან მეტრში სრულიად უმეთვალყუროდ დარჩენილმა, თავით შეაგდო. „დილაზე" არც ამან იმოქმედა, ისევ ზანტად, უიმპროვიზაციოდ მოქმედებდნენ. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს სტუმრებს სირბილი ეზარებოდათ. რაღაცის გაკეთება კი მოიწადინეს, მაგრამ შუა გზაზე ყველაფერი ჩაეშალათ. განსაკუთრებით მარჯვენა ფლანგზე სცოდავდნენ სტუმრები, საიდანაც ვეტერანი ყორყიკაშვილი ხიფათს ხიფათზე ქმნიდა — ჯერ იყო და მისი დარტყმის შემდეგ ბედად არ გავიდა მეორე გოლი, მერე თანაგუნდელებს მისცა კარგი საშუალება, ბოლოს კი ისევ თვითონ ჩაერია საქმეში, თავისი ფლანგიდან კუთხე მოჭრა, საჯარიმოში შევიდა და გვაზავას ისე დაუგორა, არ გაეტანა, არ იქნებოდა. მანაც ილურიძისგან შორეულ კუთხეში დაარტყა საგოლედ. ტაიმის ბოლომდე საინტერესო აღარაფერი მომხდარა. ისევ მასპინძლები უტევდნენ, გორელები მხოლოდ კარს იცავდნენ.

შესვენების შემდეგ „დილას" მწვრთნელმა ერთბაშად სამი გონივრული შეცვლა გააკეთა, გორელებიც ათამაშდნენ და მომენტებიც მრავლად შექმნეს თვისტომ ვოლკოვის კართან. თუმცა, არც „ლოკომოტივი" გახლდათ მთლად გულხელდაკრეფილი, სტუმრები რომ შეტევით გაერთობოდნენ, ისინი უმალვე სწრაფ კონტრშეტევას იწყებდნენ, გრძელი გადაცემებით ამარავებდნენ თავდამსხმელებს, რომლებიც პარტნიორებს შრომას წყალში უყრიდნენ. მთელი მეორე ტაიმი, ფაქტობრივად, ასე წარიმართა. გორელები უბრძოლველად ერთ გოჯსაც არ თმობდნენ, ხოლო თუ კართან მიახლოებას დააპირებდნენ, საბერძნეთიდან ახლად დაბრუნებული ლიბერო არჩვაძე ჩაერეოდა საქმეში და სიტუაციაც განიმუხტებოდა, ოღონდ დროებით, მერე ისევ იგივე მეორდებოდა. დროგამოშვებით, შუალედებში „ლოკომოტივის" თავდამსხმელთა გაცუდებულ მომენტებზე კი უკვე ვთქვით. „დილას" ერთი საპასუხო გოლიც ლოგიკური იყო: ლომიძის ცენტრიდან ჩაწოდებულს ციცქიშვილმა შეურჩია სწორი ადგილი, ბურთიც მიიღო და ტექნიკური დარტყმით თავისიანებს მატჩის გადარჩენის იმედი ჩაუსახა. დრო საკმაო იყო. გორელებმა მოინდომეს, მაგრამ გადამწყვეტ ფაზაში სცოდავდნენ. ორივე გუნდი მეტად დაიბნა, შეიძლება ითქვას, რას აკეთებდნენ, თავადვე აღარ იცოდნენ. ეგ იყო, სტუმრები რომ უტევდნენ, მასპინძლები რვა კაცით უფრთხილდებოდნენ კარს და ენუქიძის იმედად დარჩნენ, რომელიც ყველაზე ცოტა, ათჯერ მაინც აღმოჩნდა თამაშგარე მდგომარეობაში.

**სპორტის დეპარტამენტისა და ფეხბურთის ფედერაციის დაპირისპირებამ იმ ფაზას მიაღწია, როცა დავა ან ერთ-ერთის გამარჯვებით უნდა დასრულდეს, ანაც საქმე საბოლოოდ ჩაიფარცხოს. თანაც ახლოვდება წლის ბოლოც და დეპარტამენტის მიერ დათქმული ის თარიღიც, როცა ფედერაციამ რიგგარეშე ყრილობა უნდა გამართოს. ამ საქმეზე აქამდეც ბევრი თქმულა და კვლავაც ბევრი დაიწერება. კონფლიქტის ისტორიას თვალს ყურადღებით თუ გავადევნებთ, წინასწარი დასკვნების გამოტანასაც შევძლებთ.**

# დასასრულის დასაწყისი

### პირველად იყო ქვეკომისია

გასაკვირია, რატომ მაინცდამაინც ახლა მიიტანა დეპარტამენტმა იერიში ფედერაციაზე. განა აქამდე ეს უკანასკნელი ახლანდელზე უკეთ მუშაობდა? გასაკვირია, რაღა ახლა მოაგონდა დეპარტამენტს, როგორც თავად ამბობს, 2-3 წლის წინანდელი ფინანსური დარღვევები? ამ კითხვებს პასუხი ქვემოთ გავცეთ, მანამდე კი ახლო წარსული გავიხსენოთ.

ფედერაციის მუშაობაში თუ რამ ხარვეზს შენიშნავდა, პირველი პრესა უხელდა საზოგადოებას თვალს. ეს თითქმის ყოველდღიურად, მაგრამ სპონტანურად ხდებოდა და ეს გასაგებიცაა. პრესას რომ ერთიანი, ჩამოყალიბებული გეგმა-პროექტი არ გააჩნდა ფედერაციის შეცდომათა სამხილებლად, ეს რა გასაკვირია. გულში იქნებ ვინმეს კიდეც სურდა, მაგრამ აშკარად სფფ-ს დამხობას არავინ ცდილა. მურთაზ ხურცილავა თუ შეეშველებოდა მასმედიას ხმამაღალი განცხადებებით, რომლებიც ადრესატთა მხრიდან ხშირად რეაგირების გარეშე რჩებოდა.

პირველი მცდელობა, ფედერაციის მუშაობის ხარვეზები წარმოეჩინათ, უშედეგოდ დასრულდა. პირველი მცდელობა — ხელისუფლების წარმომადგენლისა. ერთი წლის წინ პარლამენტის ქვეკომისიის თავმჯდომარემ მანუჩარ მაჩაიძემ ბუნდოვანი ბრალდებები იკმარა და ხელები დაიბანა — პირადი მოსაზრებით ახალკაცს არ ვუპირისპირდები, საქმე კახი ასათიანისთვის გადამიბარებიაო. ასათიანმა თითქმის წელიწადი დაიგვიანა. იქნებ უფრო ხელსაყრელ მომენტს ელოდა, მაგრამ ფაქტია, დაიგვიანა. ფედერაციამ უფრო ხელსაყრელი პოზიცია მოიპოვა და შემოტევის უდარდელად მოგერიება არ გასჭირვებია. ეს დეპარტამენტმაც დაინახა და საქმის უფრო ზემდგომ ინსტანციებში გადატანას შეუდგა, საკითხი დასვა პარლამენტის სათანადო კომისიაში.

გასაკვირი არ იყო, რომ კომისიამ საკითხი დიდი ენთუზიაზმით აიტაცა. აქ აუცილებელიც არ გახლდათ ფედერაციის საწინააღმდეგო ალიანსის არსებობა. აქ უფრო წლებით ნასაზრდოები საყოველთაო უკმაყოფილებისა და უნდობლობის ფაქტორი მუშაობდა. და მოიწვია კომისიამ ფეხბურთის ყველა პასუხისმგებელი პირი — კლუბის პრეზიდენტებითა და ადგილობრივი ფეხბურთის ფედერაციათა თავკაცობით დაწყებული, სფფ-ს ჩინოსნებით დამთავრებული. კვლავ ცალკარობანა, პარლამენტში მხოლოდ დეპარტამენტის მხარე გამოცხადდა.

### პარლამენტი სასამართლო არ არის

დიახ, ეს საკანონმდებლო ორგანოა და მისი მიწვევის მიღება-არმიღება ნებაყოფლობითი, არასავალდებულოა. სხვა საქმეა, სცემ თუ არა საკუთარი ქვეყნის უზენაეს ორგანოს პატივს. მაგრამ აქ პატივისცემა, ცხადია, ზედმეტი სიტყვაა. ფედერაციაც, იმის შიშით, თუნდაც მცირე დათმობა უკანდახეულ ნაბიჯად არ ჩამომერთვასო, თავისაზე დადგა. სფფ-ში ისიც ივარაუდეს, პარლამენტში რიგგარეშე ყრილობის ჩატარება ხომ არ სურთ; აქაოდა, ყრილობაზე ამათ მეტს არც ჩვენ მოვიწვევთ ვინმესო. ამჯერად იმ პრინციპმაც იმუშავა, რომლის სათავისოდ გამოყენებას ცოტა ხნის წინ დეპარტამენტი ეცადა. ამაოდ დაპატიჟებული სტუმრები აცხადებენ, ჩვენ რომ ჩვენსავე უფროსობას მივეწვიეთ, გამოვცხადდებოდით, ისე კი, ნურას უკაცრავადო. კვლავ ყბადაღებული, უწყვეტი ჯაჭვი, როგორც ფეხბურთის ფედერაცია აცხადებს, ჩვენ მხოლოდ ფიფას და უეფას ვმორჩილებთო.

არადა, ასე არ ფიქრობს დეპარტამენტი.

### ფულს ვინ(ც) იხდის...

ამბობენ, ფეხბურთის ფინანსურ ბერკეტებზე მნიშვნელოვანი კონტროლი სპორტის დეპარტამენტს აქვს და, თუ მოიწადინა, ამ წყაროს გადაკეტვით ფეხბურთს დაამწყურვალებსო. საიდან მოდის ეს ვერსია, იოლი მისახვედრია. ისიც ფაქტია, რომ არც მთლად ასეა საქმე. კარგად თუ ჩავუკვირდებით, დავინახავთ, რომ სასწორი აქაც ფედერაციის სასარგებლოდ გადახრილა. I ჯგუფის 16 გუნდიდან 11 კერძო თუ სახელმწიფო საწარმოთა მეოხებით არსებობს, დანარჩენი 5 კი ბიუჯეტიდან სპორტისთვის გამოყოფილი თანხით. ამ თანხას ბიუჯეტის მაცქერალნი წელიწადში 2-3-ჯერ თუ იღებენ, ესაც კარგ შემთხვევაში, დანარჩენებისთვის კი ეს ის ფულია, 2-3 თვეს რომ კმარობენ. მეტიც, სახელმწიფოს მიერ სპორტის დანარჩენი სახეობებისთვის გამოყოფილი თანხა თუ ჩამოუვარდება, თორემ ვერასგზით აღემატება ფეხბურთში მბრუნავ ფულს.

### ნუ გაალღვიძებ

უცოდველი ვინაა. ერთი დიდი ცოდვა სპორტის მამებსაც აწევთ. დაპირისპირებისას ფედერაციის მამხილებელ ერთ-ერთ არგუმენტად „სოლოღაშვილის საქმე" რომ მოიშველიეს, მაშინვე მოისმინეს კონტრარგუმენტიც — ხახალეიშვილის ვერაწონვის თაობაზე. ფედერაციისგან ამასაც გაიგებდით, როგორც ასათიანს ხახალეიშვილი არ უნდა გაეღვიძებინა, ისე ჩვენ „ბათუმი" არ უნდა გაგვეფრთხილებინაო. ამაზე დავა უაზრობაა. ამ საკითხებში ორივე მხარე დამნაშავეა და ეს ამბავიც მათ გასათანაბრებლად არ მოგვიხმია. უბრალოდ, ვეძებთ და ვერ მოგვიძიებია მეტნაკლებად ჩამოყალიბებული არგუმენტი, დეპარტამენტმა ფედერაციას რომ წარუდგინა.

ფედერაციას პირველი ცდისას უფრო სპორტულ მიღწევებს უწუნებდნენ. მოულოდნელად სპორტული მიღწევები საგრძნობლად გაუმჯობესდა. ისიც ცხადია, საქართველოში დღეს არსებული სამწვრთნელო არსენალით ბევრად მეტს ვერც ვერავინ მიაღწევს. მაშ რაღა?

რამდენჯერმე ფედერაციის ფინანსურ დარღვევებზეც ითქვა. ფედერაცია აცხადებს, საგადასახადოსთან და კონტროლის პალატასთან პირნათელი ვარო. ამის შემდეგაც ფინანსებზე ეჭვიანობა არამარტო ფედერაციის, არამედ ამ სახელმწიფო ორგანოების კომპეტენციაში და პატიოსნებაში ეჭვის შეტანას ნიშნავს. ვეჭვობთ, ეს დეპარტამენტსა და პარლამენტის კომისიას ძვირად არ დაუჯდეთ.

### სულ არ ფიქრობს შევარდნაძე...

...აფხაზეთში შევარდნაზე. ეს ერთ თანამედროვე პოეტს უქვამს. ამ წერილის თემა იმის დადგენა როდია, რას ფიქრობს ქვეყნის პრეზიდენტი აფხაზეთის საკითხზე. ფაქტია, დეპარტამენტმა თავად რომ ვერა გააწყო, უმაღლეს ეშელონებს მიმართა — აღმასრულებელი ხელისუფლება თავადაა, საკანონმდებლო ხელისუფლებამაც ამოწურა თავისი შესაძლებლობანი, დაუსაბუთებელი განცხადებისთვის სასამართლოში ფედერაციის ჩივილით თავად მისცემია საქმე. დარჩა ერთადერთი ინსტანცია — პრეზიდენტი, რომლის ყურამდეც ამ საკითხის მიტანა უკვე კიდეც ითხოვეს.

დიახ, ფედერაცია მხოლოდ საკითხის დირექტიულად გადაჭრამ თუ უნდა დააფრთხოს, მაგრამ ამათ აქაც იყოჩაღეს — უეფას პრეზიდენტ ლენარტ იუჰანსონისა და ედუარდ შევარდნაძის შეხვედრა რომ მოაწყეს. შევარდნაძე იუჰანსონს ფეხბურთისთვის დახმარების გაწევას დაჰპირდა. გამოდის, ეს ფედერაციის საქმიანობაში სახელმწიფოს უხეში ჩაურევლობის გარანტიაცაა.

ბრძოლაში ისე ვერავინ გაიმარჯვებს, თუ ერთმა კაპიტულაციას არ მოაწერა ხელი. ცხადია, ფედერაცია ამას არ აპირებს. თუმცა, მისმა ამასწინდელმა საქციელმა, შესაძლოა, დეპარტამენტს გამარჯვების ნაადრევი ილუზია შეუქმნას. რამდენიმე დღის წინ ფედერაციამ წერილობით შეუთვალა, კონკრეტულ გეგმას თუ შემოგვთავაზებთ, თანამშრომლობისთვის მზად ვართ, ყრილობის, ოღონდ არა-საგანგებოს თარიღს დეკემბრის დასაწყისში გამართული აღმასკომი დაადგენსო.

იქნებ ეს დასასრულის დასაწყისია... მაგრამ რისი დასასრულის?

**ვახტანგ ბზიძაძე**

# ჩვენ ფედერაციას არ ვედავებით, მხოლოდ მის ხელმძღვანელებს ამბობს კახი ასათიანი



კახი ასათიანი

*...წლის დასაწყისში ნოდარ ახალკაცსა და ნოდარ ანდრიაძეს შევხვდი. ვუთხარი, ერთად შევიკრიბოთ, ქართულ ფეხბურთში შექმნილ ვითარებაზე ვიმსჯელოთ, ჟურნალისტებთან შეხვედრა მოვაწყოთ და ყველაფერი ვთქვათ, თქვენს გამო სპორტის დეპარტამენტი რატომ უნდა გაილანძღოს, ხალხი პასუხს ჩვენ გვთხოვს, ამიტომაც კეთილი ინებეთ, ჟურნალისტებს შეხვდით-მეთქი. ახალკაცი დამპირდა, უახლოეს დღეებში მოვაგვარებთ ამ საკითხს და მედიის წარმომადგენლებთან ვისაუბრებთო. როგორ შევხვდათ, როგორ გაგარკვიათ სიტუაციაში, კარგად ხედავთ... — ასე დაიწყო საუბარი სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ კახი ასათიანმა. მასთან შეხვედრის მიზეზიც ეს იყო. ბოლო დროს რომ მეტად დაიძაბა ურთიერთობა ფეხბურთის ფედერაციასა და სპორტის დეპარტამენტს შორის, ახალი ამბავი არ არის. ადრე — დეპარტამენტის კოლეგიის სხდომა, შემდეგ — ფეხბურთში შექმნილი მძიმე ვითარების საპარლამენტო მოსმენა. საბოლოო ვერდიქტი ასეთი გახლდათ — ფეხბურთის ფედერაციამ მიმდინარე წლის პირველ დეკემბრამდე აუცილებლად უნდა მოიწვიოს რიგგარეშე ყრილობა. წინააღმდეგ შემთხვევაში ფედერაციის ხელმძღვანელებს უფლებამოსილება შეუჩერდებათ.*

*დათქმულ ვადამდე დიდი დრო აღარ დარჩა. დეკემბერი მალე მოვა. მოვა და რას მოუტანს ქართულ ფეხბურთს, სწორედ მაშინ ვნახავთ. ბუნებრივია, ამ ამბავის უყურადღებოდ დატოვება არ ევების. ჰოდა, საპარლამენტო მოსმენის შემდეგ გადავწყვიტეთ, ორივე მხარის პოზიცია დაგვეზუსტებინა. პირველად ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ მდივანს მივმართეთ — არა, ახლა არავითარ ინტერვიუს არ მოგცემთ, პირველი დეკემბრის შემდეგო — მოგვიგო. რაღა გაეწყობოდა, სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარეს მივაკითხეთ და თანხმობაც მივიღეთ. მანამდე კი გეტყვით — ფეხბურთის ფედერაციას დეპარტამენტისთვის 11.07-ით დათარიღებული ოფიციალური წერილი გაუგზავნია. თურმე შეცდომით — ეს 7.11-ის ნაცვლად დაუბეჭდავთ. წერილს დავით კვინიკაძე აწერს ხელს. ივი დეპარტამენტს კონსტრუქციული დიალოგისკენ მოუწოდებს, მზად ვართ, თქვენთან ვითანამშრომლოთ, ხოლო ყრილობის ჩატარების დღეს აღმასკომის უახლოესი სხდომა დაადგენსო. როგორც შევიტყვეთ, სიტყვა „რიგგარეშე" არსადაა ნახსენები, უბრალოდ, ყრილობის მოწვევაზეა საუბარი. აქედან გამომდინარე კი, ცოტა საეჭვოა, ფედერაციამ პირველ დეკემბრამდე ყრილობა ჩაატაროს. ამაზე კახი ასათიანი კატეგორიულად აცხადებს — ყრილობა უნდა მოიწვიონ. თუ საღად აზროვნებენ, ყრილობას ჩაატარებენ. პარლამენტის კომისიის დადგენილება ასეთი. ამის უკან კიდევ ბევრი რაღაც დგას, ბევრი რამ იმალება...*

**— დავუშვათ, რიგგარეშე ყრილობა არ მოიწვიეს. სპორტის კანონის თანახმად, ამ შემთხვევაში ფედერაციის ხელმძღვანელებს უფლებამოსილება შეუჩერდებათ. პრაქტიკულად როგორ მოხდება ეს პროცესი?**

— ხომ გითხარით, უნდა ჩაატარონ. თუ არადა, ჩვენ ჩავატარებთ, ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე გუნდების ორ მესამედს მოვიწვევთ. საქართველოში მოქმედი კანონების შესაბამისად ვიმოქმედებთ. ამ ყრილობის შემდეგ ფედერაციის ხელმძღვანელებს უფლებამოსილება ჩამოერთმევათ.

**— თუ ორი მესამედი არ შეიკრიბა?**

— შეიკრიბება!

**— ეს უეჭველია?**

— მგონი, უეჭველია. წინააღმდეგ შემთხვევაში ფეხბურთი სახელმწიფოს გარეშე დარჩება.

**— ფეხბურთის ფედერაციას თავდაცვის ძირითად არგუმენტად უეფას წესდება მოაქვს. აქაოდა, ჩვენს საქმეებში ნუ ჩაერევით, თორემ საერთაშორისო სარბიელთან დამშვიდობება მოგვიწევსო...**

*დეპარტამენტის თავმჯდომარემ იქვე მაგიდიდან უეფას წესდების მწვანეყდიანი ბროშურა აიღო, გადაფურცლა და თქვა:*

— აი, აქ წერია ყველაფერი. ბევრი ვეძებე, მაგრამ ჩვენი გადაწყვეტილების საწინააღმდეგო ვერაფერი ამოვიკითხე. წესდებაში საერთოდ არ არის ნახსენები სახელმწიფოსა და ფედერაციის ურთიერთობა. ყველა ფედერაცია, საზოგადოებრივი ორგანიზაცია კანონს უნდა ემორჩილებოდეს, ჩვენც კანონის შესაბამისად ვმოქმედებთ. ფეხბურთის ფედერაციასთან საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, მხოლოდ მის ხელმძღვანელებს ვედავებით. რამდენიმე დღის წინ ფეხბურთის ფედერაციიდან წერილი მივიღეთ დავით კვინიკაძის ხელმოწერით, საქმიანი დიალოგისკენ მოგვიწოდებს. კი ბატონო, ვისაუბროთ, ვიკამათოთ, საერთო საქმეს რომ წაადგება, ისე მოვიქცეთ, ჩვენც ეს გვინდა, მაგრამ რიგგარეშე ყრილობა მაინც უნდა ჩატარდეს. ყრილობა მარტო არჩევნები არ იქნება, მთავარი ის არის, ქართულ ფეხბურთს როგორმე ვუშველოთ, კრიზისული მდგომარეობიდან გამოსვლის გზები უნდა ვეძიოთ.

*კახი ასათიანმა უეფას წესდების შესაბამისი სტატიების კითხვა განაგრძო, ყურადღებით გააანალიზა ყველა წინადადება, ბოლოს კი დაამატა — არა, აქ საღავო არაფერია.*

**— საპარლამენტო მოსმენაზე ითქვა, ფეხბურთის ფედერაციას ქართული ფეხბურთის შესანარჩუნებლად არაფერი გაუკეთებიაო. იზიარებთ ამ მოსაზრებას?**

— მთლად ასეც არ არის. როგორ არა, ბევრი კარგი საქმეც გაუკეთებიათ, მაგრამ მხოლოდ ფედერაცია ვერაფერს გახდებოდა, სხვებიც ეხმარებოდნენ. ცალსახად იმის თქმა, მარტო ფედერაციას მიუძღვის წვლილი ფეხბურთის დღემდე მოტანაშიო, უსამართლობა იქნება.

**— კოლეგიის სხდომაზეც და პარლამენტშიც კრიტიკა არ დაიშურეს, თუმცა ფედერაციის გასამტყუნებელი კონკრეტული არგუმენტების დასახელებისაგან თავი შეიკავეს. იქნებ თქვენ გვითხრათ?**

— მეტი არგუმენტი რაღა გინდათ? ვერ გამიგია, ნუთუ ჟურნალისტებს, საზოგადოებას აკმაყოფილებს ქართული ფეხბურთის დღევანდელი მდგომარეობა? მგონი, არავინ არის ისეთი, ვინც იტყვის, ყველაფერი რიგზეაო. ამიტომ ვლაპარაკობთ და ვბჭობთ ამდენს. იქ მაყურებელი გარბის მინდორზე, იქ მსაჯებს ფიზიკურად უსწორდებიან — ვინ აგებს ყველაფერზე პასუხს? ოცდაათმა პარლამენტარმა გვთხოვა, მათ წინაშე განგვეხილა ფეხბურთის სადღეისო მდგომარეობა. კომისიის სხდომაც ჩატარდა. დარბაზი პარლამენტარებით იყო სავსე. ფედერაციის ხელმძღვანელობაც საქმის კურსში გახლდათ, მაგრამ არავინ მობრძანდა. იგივე განმეორდა სპორტის დეპარტამენტის კოლეგიის სხდომაზე — არავინ მოვიდა. გამაგებინეთ, თუ მართლები არიან, გასასამართლებელი საბუთები აქვთ, მაშინ რატომ უგულებელყოფენ ჩვენს მოწვევას? გამოდის, რაღაცას ერიდებიან. სახელმწიფო ვალდებულია, ყველაფერი გააკონტროლოს.

**— დეპარტამენტის კოლეგიის სხდომაზე ფედერაციას რიგგარეშე ყრილობის მოსაწვევად ორი თვის ვადა დაუთქვით. შემდეგ, პარლამენტის დადგენილებით ეს ვადა პირველ დეკემბრამდე გადაწიეთ.**

— მიზეზი ელემენტარული გახლდათ — დროის ფაქტორი. ყრილობის ნორმალურად ჩასატარებლად და ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ასე ჩავთვალეთ საჭიროდ. ახლა ორ კვირაზე მეტი დრო აქვთ ყველაფრის მოსამზადებლად, თუნდაც იმისთვის, წინა ყრილობების მსგავსი შეცდომები რომ აღარ დაუშვან.

**— ყრილობის ნორმალურად წარმართვას იუსტიციის სამინისტრო გააკონტროლებს?**

— რა თქმა უნდა. ჩვენ კანონის თანახმად ვმოქმედებთ. კანონი სპორტის შესახებ კონსტიტუციის მერე მიიღეს და დაამტკიცეს. ამიტომ ყველა სპორტული ორგანიზაცია, მათ შორის, ფეხბურთის ფედერაციაც, მას უნდა დაემორჩილოს. კანონი კანონია, მას ვერავინ გაექცევა.

**— ბუნებრივია, რიგგარეშე ყრილობაზე დღის წესრიგში ფედერაციის ხელმძღვანელთა არჩევნებიც იქნება. პრეზიდენტობის ყველაზე რეალურ კანდიდატად ვინ გესახებათ?**

— ვერ გეტყვით. ეს საკითხი საფეხბურთო სამყაროს გადასაწყვეტია. ჯერჯერობით არ ვიცი, ამაზე არც მიფიქრია.

*საუბარიც აქ დავამთავრეთ. დეპარტამენტის პოზიციაც, ალბათ, დავაფიქსირეთ. ყოველ შემთხვევაში, ერთის თქმა ნამდვილად შეიძლება — პარლამენტში მიღებული დადგენილების თანახმად ფეხბურთის ფედერაციამ რიგგარეშე ყრილობა უნდა მოიწვიოს. როდის? ზემოთ ბევრჯერ დავწერეთ, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი კი ბოლოს შემოვინახეთ — სარწმუნო წყაროდან შევიტყვეთ, რომ ფედერაციის აღმასკომის უახლოესი სხდომა დეკემბრის პირველ რიცხვებში გაიმართება, მას შემდეგ, რაც საქართველოს 16 და 18 წლამდელთა ნაკრებები შესარჩევ ციკლს ჩაამთავრებენ. დაგვეთანხმებით, ცოტა უცნაურია, დეკემბრის პირველი რიცხვები პირველ დეკემბერს სულაც არ ნიშნავს. მით უმეტეს, რომ ფედერაციას მხოლოდ პირველამდე აქვს ვადა. ყრილობის თარიღი კი სწორედ აღმასკომის სხდომამ უნდა დაადგინოს. აქედან გამომდინარე, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ მოვლენები მეტად მწვა... განვითარდება.*

**ქობა ინასარიძე**

**სპორტის** დეპარტამენტმა ამას წინათ ფეხბურთის საქმეზე საპარლამენტო მოსმენა მოაწყო. სპეციალური დადგენილებაც მიიღეს და ფედერაციასაც აცნობეს. იმ სხდომის შესახებ „სარბიელმა" თავისი აზრი უკვე გააზლათ და ახლა გამეორებით მკითხველს თავს არ შევაწყენთ. დღეს ფეხბურთის ფედერაციაში გამართული თათბირის შესახებ მოგითხრობთ, რომელიც გუშინ 12 საათზე ჩატარდა. თათბირზე პირველ ჯგუფში მონაწილე გუნდების ხელმძღვანელები იყვნენ დაბარებულნი, ვერაფერით დავიჩემებ, უკლებლივ ყველა გამოცხადდა-მეთქი, თანაც ზოგიერთები თათბირს მოგვიანებით შეუერთდნენ. თავყრილობაზე მიღებულ იქნა მიმართვა ფართო საზოგადოებრიობისადმი, რომელსაც ხელი თითქმის ყველამ მოაწერა. თითქმისო, იმიტომ ვამბობთ, რომ თქმა არ უნდა, ხელს ისინი ვერ მოაწერდნენ, ვინც თათბირს არ ესწრებოდა, ხოლო დამსწრეთაგან ერთადერთი „დინამოს" ვიცე-პრეზიდენტმა რომან შოთაძემ შეიკავა თავი. მან წამოაყენა საკმაოდ მისაღები მოსაზრება, რომელსაც რამდენიმე გუნდის წარმომადგენელი დაეთანხმა კიდეც, მაგრამ...

რომან შოთაძემ თავისი მოსაზრება შემდეგნაირად ჩამოგვიყალიბა:

აჩქარება არავის არგებს, არსებობს პრეზიდენტთა საბჭო, რომელმაც, სხვათა შორის, საკმაოდ ნაყოფიერადაც იმუშავა. უნდა მოხდეს პრეზიდენტთა შეხვედრა, მაგრამ არა ფეხბურთის ფედერაციაში, გნებავთ საპარლამენტო კომიტეტში. სასურველია, ყველამ იცოდეს იმ მოტივაციის შესახებ, რისთვისაც დაპირისპირებული მხარე რიგგარეშე ყრილობის ჩატარებას ითხოვს. იმისთვის, რომ ყველაფერს საფუძვლიანი ანალიზი გაუკეთდეს, ამისთვის ორივე მხარის კონკრეტული პოზიციების გაცნობა იქნება აუცილებელი. რა თქმა უნდა, დაპირისპირება ქართული ფეხბურთის წინსვლის საქმეს არ წაადგება, ამიტომ უმჯობესია, კონსტრუქციული დიალოგის გზები გამოინახოს.

# თორმეტში თორმეტზე

თავად მიმართვაში კი ფედერაციის და ჩვენი კლუბების დამსახურებაზე და დეპარტამენტის იერიშზე თუ ფეხბურთის იზოლაციის ბნელ ლამეზე უფრო საუბარი. ისე ცოდვა გამხელილი სჯობსო, იტყვიან და აღნიშნული მიმართვა რატომღაც ფედერაციის შედგენილი მგონია, რომელზეც ხელი ყველამ მოაწერა ერთის გარდა.

თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ იმავე მიმართვაში ფედერაცია ოპონენტებთან კონსტრუქციული დიალოგის მომხრეა და თანხმობას აცხადებს ნებისმიერ დროს შეხვდეს მათ. ყველაფერი ეს, თურმე, ქართული ფეხბურთის საკეთილდღეოდ კეთდება. ფედერაცია მიმართვაში აღიარებს თავის ნაკლოვანებებს და მათ გამოსწორებასაც გვპირდება, ოღონდ დახმარებას და თანადგომას ითხოვს.

**მამუკა ქვანტალიანი**

## ფეხბურთის რუკასთან



ბელგიურმა „ანდერლეხტმა“ თავისი ლიბერიელი თავდამსხმელის, ჯეიმს დებას მიყიდვაზე ფრანგულ „პარი სენ ჟერმენს“ თანხმობა განუცხადა, სატრანსფერო თანხასა და კონტრაქტის ხანგრძლივობაზე არავის არაფერი განუცხადებია. 29 წლის ფეხბურთელი „ანდერლეხტს“ ამ სეზონის დასაწყისში 1,8 მილიონ დოლარად „ნიცადან“ შეუერთდა. „ნიცამდე“ ლიბერიელი „მონაკოსა“ და „ლიონში“ გამოდიოდა. წესით დებას „ანდერლეხტში“ ოთხი წელიწადი უნდა გაეტარებინა, მაგრამ გულმა ისევ საფრანგეთისკენ გაუწია.

**შოტლანდიის ჩემპიონმა „გლაზგო რეინჯერსმა“ ათენის აეკს შეუთვალა, რომ დროს ტყუილად ხარჯავს — არ არსებობს პირობა საიმისოდ, რომ გლაზგოელებმა თავიანთი დანიელი თავდამსხმელი ბრიან ლაუდრუპი ვინმეს მიჰყიდონ. თურმე აეკი დეკემბერში, გლაზგოში დანიშნულ ექვსი გუნდის წარმომადგენელთა შეხვედრაზე „რეინჯერსისთვის“ ლაუდრუპის თაობაზე სიტყვის ჩამოგდებას აპირებდა. ხსენებულ ექვს გუნდს საერთო ის აქვთ, რომ მათი აქციების მფლობელი ერთი და იგივე პიროვნება, მილიონერი ჯო ლუისია. 28 წლის ლაუდრუპს „რეინჯერსთან“ კონტრაქტი მიმდინარე სეზონის ბოლოს გაუდის და ელიან, რომ სექტემბრიდან იგი თავის უფროს ძმას, ამსტერდამის „აიაქსში“ შეუერთდება. ყოველ შემთხვევაში, „აიაქსი“ გასულ ივნისშიც ლამობდა ბრიანის ხელში ჩაგდებას.**

ნიგერიის ნაკრების წევრს, ესპანური „ბარსელონის“ მოთამაშეს ემანუელ ამუნიკეს მსოფლიოს ჩემპიონატის გამოტოვების საფრთხე ემუქრება. ქირურგების თქმით 27 წლის ამუნიკეს ექვსი ან რვა თვის გამოტოვება მოუწევს.

**შვეიცარიაში ფიფას შტაბ-ბინაში დაადგინეს, რომ მსოფლიოს მოახლოებული ჩემპიონატის მომსახურე მსაჯების რაოდენობა უნდა გაიზარდოს. 1994 წელს, აშშ-ში 24 არბიტრი მუშაობდა, გაისად, საფრანგეთში კი 33 გაუძღვება საქმეს. მათ 64 თამაშის განსჯა მოუწევთ. შეგახსენებთ, რომ ამერიკაში თამაშების რაოდენობა 52 იყო. მსაჯების და 34 თანამსაჯის ვინაობა 2 თებერვალს გამოცხადდება, მანამდე კი მათ აკვირდებიან. საბოლოოდ შერჩეული 67 არბიტრი მარტში, პარიზში, საგანგებო სემინარს გაივლის. გარდა ამისა ფიფას მსაჯთა კომიტეტი ალბათ დააკანონებს საგანგებო ელექროტაბლოს, რომელიც შეცვლათა გამომცხადებელი მეოთხე არბიტრის განკარგულებაში იქნება.**

ინგლისში „შეფილდ უენსდეის“ მწვრთნელის თანამდებობა ვაკანტურია და შესაფერის კანდიდატურას ეძებენ. ერთ-ერთი ასეთთაგანი იყო რონ ატკინსონი, მაგრამ მან შორს დაიჭირა. ადრეული ხმების თანახმად დევიდ პლიტის შემცვლელი ორ კონკურენტს, ატკინსონსა და ჰოვარდ უილკინსონს შორის უნდა არჩეულიყო. ატკინსონი 1991 წლის ივლისამდე ექვსი წლის განმავლობაში მუშაობდა „უენსდეის“ მწვრთნელად, მაგრამ სერიოზული წყენის გამო მიატოვა გუნდი, რომელსაც ლიგის თასი და პრემიერლიგის საგზური მოაპოვებინა. მას მერე შეფილდელებსაც არ მიუხედავთ ატკინსონისკენ. თავად მწვრთნელმა განაცხადა: „მე არავინ დამკავშირებია და მინდა გითხრათ, რომ „შეფილდ უენსდეის“ მომავალ მწვრთნელად არც ვიმუშავებ“.

**პორტუგალიაში, მე-9 ტურის ორშაბათის მატჩში „ბენფიკამ“ 1:0 მოუგო „გიმარაეშს“. ახლა, ცხრილს 21 ქულით სათავეში უდგას „პორტუ“. მეორეზეა 19 ქულიანი „რიუ ავე“, მესამეზე კი „გიმარაეში“, რომელსაც ლისაბონის „სპორტინგის“ მსგავსად 16 ქულა აქვს. „ბენფიკა“ 15 ქულით მეხუთეზეა და ორით უსწრებს თბილისის „დინამოს“ დამჩაგვრელ „ბრაგას“.**

ინგლისელი ბობი რობსონი, რომელიც გასულ სეზონში „ბარსელონას“ ედგა სათავეში მალე პორტუგალიას დაუბრუნდება და ლისაბონის „სპორტინგის“ ტექნიკური დირექტორის თანამდებობაზე დაიწყებს მუშაობას. საკითხის გასარკვევად სამშაბათს „სპორტინგის“ პრეზიდენტი ჟოზე როკეტე კატალონიის დედაქალაქს ეწვია. მან შეიტყო, რომ ინგლისელი სპეციალისტი მზადაა ლისაბონს გაემგზავროს და თან გაიყოლოს ასისტენტი ჟოზე მურინიუ.

**საბერძნეთის პირველობაზე, მე-9 ტურის ორშაბათის შეხვედრაში აეკ-მა უმასპინძლა „პანიონისს“ და 2:0 მოუგო. ცხრილის სათავეშია „ოლიმპიაკოსი“, თუმცა მეორე ადგილზე მყოფ „პანათინაიკოსს“ მასავით 24 ქულა აქვს. 21 ქულით მესამეზეა აეკი.**

ესპანურმა „ბარსელონამ“ იყიდა ნიგერიელი ფეხბურთელი გბენგა ოკუნოვო. რა თანხა გადაუხადა ევროპული ფეხბურთის გიგანტმა ნიგერიულ „შუთინგ სტარს“ ცნობილი არაა. სხვათა შორის, ამ 18 წლის ნახევარმცველს კატალონიელებმა ერთი წლის წინ დაადგეს თვალი, თუმცა, როგორც ჩანს, ჯერჯერობით მეორე ლიგაში მოასპარეზე „ბარსელონა B“-ში ეყოლებათ. ესპანური პრესის ცნობათა თანახმად, „ბარსელონას“ მწვრთნელი ლუის ვან გაალი გილერმო ამორის, მიგელ ანხელ ნადალის და ხრისტო სტოიჩკოვის შემცვლელებს ეძებს. აღსანიშნავია, რომ ესპანეთის კანონმდებლობის თანახმად ოკუნოვო 15 დეკემბრამდე ვერ ითამაშებს.

**იტალიელი მიქელე პადოვანო „იუვენტუსიდან“ ინგლისურ „კრისტალ პალასში“ გადავიდა, სადაც თავის ტურინელ თანაგუნდელს ატილიო ლომბარდოს შეუერთდება. ბუნებრივია, „პალასის“ ხელმძღვანელებს პადოვანოზე სიტყვა ლომბარდომ ჩამოუგდო. გარიგების ფასია 2,9 მილიონი დოლარი. პირველ თამაშს ახალ გუნდში პადოვანო 24 ნოემბერს „ტოტენჰემ ჰოთსპურის“ წინააღმდეგ ჩაატარებს. „ის მართლაც კარგი თავდამსხმელია, რომელსაც „იუვენტუსში“ აღარ ათამაშებდნენ და ამიტომ ახალ სარბიელს ეძებდა“ — თქვა „კრისტალ პალასის“ მწვრთნელმა სტივ კოპელმა. საინტერესოა, რომ „კრისტალ პალასთან“ კონტრაქტის გაფორმების წინა დღეს მისმა აგენტმა ჩაშალა ლამის მიღწეული გარიგება „მიდლსბროსთან“. ჩაშალა იმით, რომ იმ 1,6 მილიონს ზემოთ, რასაც ინგლისური გუნდი „იუვენტუსს“ უხდიდა, თავისთვის 200 ათასი დოლარი მოითხოვა.**

არგენტინელი თავდამსხმელი ხუან ესნაიდერი, რომელიც ბარსელონის „ესპანიოლში“ თამაშობს, მუხლის ტრავმის გამო შესაძლოა ორი თვით ჩამოშორდეს მოედანს. ესნაიდერი „ესპანიოლში“ პირველ სეზონს ატარებს, მაგრამ 10 თამაშში უკვე შვიდი გოლი აქვს გატანილი.

**უკრაინელი იური მაქსიმოვი საშნახევარო წლით ბუნდესლიგის კლუბ ბრემენის „ვერდერში“ გადავიდა. გერმანელებს არ განუცხადებიათ, რამდენი გადაუხადეს კიევის „დინამოს“ 28 წლის ფეხბურთელში, რომელიც ახალ გუნდში პირველ თამაშს ალბათ 29 ნოემბერს, „შტუტგარტის“ წინააღმდეგ ჩაატარებს. „ვერდერში“ მაქსიმოვი თანამემამულეს ვიქტორ სკრიპნიკს შეუერთდება.**

პორტუგალიის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი არტურ ჟორჟე, 18 თვით, ესპანური „ტენერიფეს“ მწვრთნელი გახდა. ჟორჟე პორტუგალიელთა ეროვნული გუნდის ხელმძღვანელობიდან ცოტა ხნის წინ, ოქტომბერში გადადგა, რადგან საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე გამსვლელი საგზური ვერ მოაპოვებინა. რაც შეეხება მის საკლუბო მოღვაწეობას, იგი ორჯერ იყო „პორტუს“ მწვრთნელი და გუნდს ოთხჯერ მოაგებინა ქვეყნის ჩემპიონის ტიტული, 1987 წელს კი ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელიც გახადა. გარდა ამისა ჟორჟემ 1994 წელს „პარი სენ ჟერმენს“ საფრანგეთის ჩემპიონობა მოაპოვებინა, 1996 წლის ევროპის ჩემპიონატზე იგი შვეიცარიის ნაკრების თავკაცი იყო.

**ავსტრიის ნაკრების წევრი პეტერ შტოგერი მწვრთნელთან, ერნსტ დოკუპილთან კამათის გამო ვენის „რაპიდიდან“ გარიცხეს. თურმე შტოგერს სასტიკად გაუკრიტიკებია ხელმძღვანელი, რომელმაც იგი გასულ კვირაში, უეფას თასზე, „მიუნხენ 1860“-თან თამაშის დროს შეცვალა. 31 წლის შტოგერს „რაპიდთან“ დადებული კონტრაქტი სეზონის ბოლოს ელეოდა.**

## ინგლისი

XIV ტური

**ლესტერი 0:1 უიმბლდონი**

**ლესტერი:** არპახედი, კამარკი, გაპი, იზეტი, პრიორი, ელიოტი, მარშალი, ლენონი, პარკერი (სევიჯი 76), კლერიჯი (უოლში 76), ჰესკი

**უიმბლდონი:** სალივანი, კანინგემი, ჯოუნსი, ბლექველი, ტეტჩერი, კ. ჰიუზი, პერი, მ. ჰიუზი, გეილი, კორტი, ერდლი

0:1 გეილი (50)

გასულ სეზონში „ლესტერმა“ ჩემპიონატშიც და ლიგის თასზეც ორ-ორჯერ სძლია მეტოქეს. შარშანდელ პირწმინდად მარცხს „უიმბლდონისთვის“ თითქოს გამარჯვების წყურვილი უნდა გაეღვივებინა, მაგრამ ასე არ მოხდა. მეტოქეებმა ისეთი უგერგილო ფეხბურთი გააჩაღეს, დავრდომილებს დაემსგავსნენ. ამიტომაც ამბობდნენ ინგლისელი ჟურნალისტები, პრემიერლიგის ისტორიაში შესაძლოა ეს ერთ-ერთი ყველაზე ცუდი მატჩი იყოო. უხეში შეცდომებით აღსავსე უნიათო და მომაბეზრებელ თამაშში, რომელშიც ზედიზედ ოთხი გადაცემა დიდ მიღწევად ითვლებოდა, სტუმრებმა კი იმარჯვეს, მაგრამ გეილის გოლი უფრო შემთხვევითობა იყო, ვიდრე კანონზომიერება. თავდამსხმელმა ანგარიში მას შემდეგ გახსნა, რაც ლესტერელებმა კორტის ჩაწოდებულს დიდი ყურადღება არ მიაქციეს, გეილთან მდგომი სამი მცველიდან ერთ, გაპის, სულაც დაეზარა შებრძოლება. პირველი ტაიმი ისე მოილია, მეტოქეებმა ერთმანეთის კარის მიმართულებით მხოლოდ ოთხჯერ დაარტყეს, მეორეში კი „უკეთ გაისარჯნენ“ — ორივე მხარეს ერთად ექვსი კარისკენ მიმართული დარტყმა დაუგროვდა. ამ უაზრო თამაშის ბოლო წუთებზე, როცა „ლესტერის“ მთავარმა მწვრთნელმა მარტინ ონილმა შეუძახა, სალივანის კართან ორი ასე თუ ისე სახიფათო მომენტი შეიქმნა, მაგრამ ორჯერვე ჰესკიმ ვერ ივარგა, ერთხელ სამი მეტრიდან გადააცილა კარს.

## გერმანია

XVII ტური

**ლევერკუზენი 4:0 კიოლნი**

1:0 მეიერი (18), 2:0, 3:0, 4:0 კორსტენი (38, 89, 90)

**დორტმუნდი 0:2 ბაიერნი**

0:1 იანკერი (36), 0:2 ელბერი (40)

ორი-სამი სეზონის უკან დორტმუნდში „ბაიერნის“ სტუმრობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. თამაშიც ისეთი დაძაბული იყო, კაცი უკეთეს სანახაობას ვერ ინატრებდა. ამ შეხვედრას არც წელს დაუკარგავს მნიშვნელობა, მაგრამ გერმანელი ფეხბურთის ფლაგმანებს რომ შეშვენით, ისეთი თამაში ვერ შადგა, ამის უპირველესი მიზეზი ის გახლდათ, რომ მასპინძლები თითქმის სათადარიგო შემადგენლობით გამოვიდნენ — როგორია ქვეყნის ჩემპიონებს დაუპირისპირდე ზამერის, კოლერის, შნაიდერის, კრეეს, რიკენის, შაპუიზას და ჰერლიხის გარეშე? ცხადია, ძირითადი ფეხბურთელების არყოლა სასურველი არავისთვისაა, მაგრამ რადგან თამაში უნდა ჩატარებულიყო, „ბორუსიის“ იტალიელმა მწვრთნელმა ნევიო სკალამ ლამის სათადარიგო შემადგენლობა გამოიყვანა და მათ ძლიერ „ბაიერნთან“ ვერაფერი გააწყვეს. ბერტი ფოგტსის მიერ ნაკრებისთვის შეგულებულმა კარსტენ იანკერმა და ზაგალოს მიერ უარყოფილმა ჯოვანი ელბერმა ორჯერ ივაჟკაცეს და ჩემპიონთა ლიგის მომგებნი კვლავ გასავარდნთა ზონაში დატოვეს. „დორტმუნდი“ მხოლოდ სამი ქულით უსწრებს ბოლო ადგილზე მყოფ „ჰერტას“, თანაც მათზე თამაშით მეტი აქვს ჩატარებული. თავის მხრივ „ბაიერნსაც“ ერთი თამაშით მეტი აქვს ლიდერ „კაიზერსლაუტერნზე“, თუმცა, ბუნდესლიგაში ამ სეზონში დაბრუნებულებს ქულით მა-

## დანია

**მე-16 ტური. აბ კოპენჰაგენი — ფრემადი 6:1, ორ-ჰუსი — კოპენჰაგენი 2:2, იკასტი — ოლბორგი 0:2, ლუნგბიუ — სილკებორგი 4:1, ოდენსე — ჰერფოლგე 3:3, ვეილე — ბრონდბიუ 1:4.**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრონდბიუ | 16 | 11 | 1 | 4 | 43:21 | 34 |
| კოპენჰაგენი | 16 | 8 | 6 | 2 | 34:21 | 30 |
| სილკებორგი | 16 | 8 | 6 | 2 | 25:17 | 30 |
| აბ | 16 | 7 | 6 | 3 | 34:20 | 27 |
| ვეილე | 16 | 9 | 0 | 7 | 27:26 | 27 |
| ოლბორგი | 16 | 7 | 4 | 5 | 29:23 | 25 |
| ლუნგბიუ | 16 | 6 | 4 | 6 | 29:37 | 22 |
| ორჰუსი | 16 | 6 | 3 | 7 | 26:25 | 21 |
| ჰერფოლგე | 16 | 4 | 3 | 9 | 24:38 | 15 |
| ფრემადი | 16 | 4 | 2 | 10 | 27:37 | 14 |
| იკასტი | 16 | 4 | 2 | 10 | 26:44 | 14 |
| ოდენსე | 16 | 1 | 5 | 10 | 17:32 | 8 |

# ფიალა ავსებულია

მენოტი წავიდა. წავიდა ისე, რომ „სამპდორიას“ თავისი ხელი ვერ დაატყო. ხუთი თვის წინ, მისი „სამპდორიაში“ მისვლის დღიდან, ქვეყ[illegible] ელოდა, პირობებიც სათანადო იყო, ახალ-ახალი მოთამაშეებიც მრავლად [illegible] თუმცა... კვირა კვირას მისდევდა, მაგრამ შედეგი არ ჩანდა, არ იყო ის, რასაც სულმოუთქმელად ელოდნენ გუნდის ხელმძღვანელები, ფეხბურთელები და, რაღა თქმა უნდა, ტიფოზები. არ იყო შედეგი. სხვა შემთხვევაში კლუბის წარუმატებლობის უმთავრეს მიზეზად მწვრთნელს მიიჩნევდნენ, მის კომპეტენტურობაში ეჭვს შეიტანდნენ. ცხადია, „სამპდორიას“ შემთხვევაშიც ერთ-ერთი მთავარი დამნაშავე მწვრთნელი მენოტია, მაგრამ კიდევ ყოფილა მიზეზები, რომელთაც გუნდის რღვევა გამოუწვევიათ.

— სეზონის წინ საკმაო მოთამაშეები დავიმატეთ, მაგრამ ორი-სამი ფეხბურთელი კიდევ მსურდა, რათა გუნდი უფრო მობილური და შემტევი გამეხადა. კლუბის ხელმძღვანელობამ მათ შეძენაზე უარი განაცხადა. ამით რა მოიგეს, თავად ხედავთ. გუნდთან, რომლის შიგნით არეული სიტუაციაა, მუშაობა არ შემიძლია. სხვა თუ არაფერი, ჩემს რეპუტაციას ვუფრთხილდები — განაცხადა სესარ ლუის მენოტიმ, რომელმაც თითქმის ოცი წლის წინ, 1978 წელს, არგენტინას პირველად მოუპოვა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული. მენოტიმ „სამპდორიასთან“ განშორება თავად გადაწყვიტა, იგი არ გაუნთავისუფლებიათ, უბრალოდ, მის გუნდიდან წასვლას „სამპდორიას“ პრეზიდენტმა ენრიკო მანტოვანიმ ოფიციალური სახე მისცა.

— მას დიდ პატივს ვცემ. იგი მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი მწვრთნელია, მაგრამ მოხდა ისე, რომ მისი საქმეები ჩვენთან ვერ აეწყო. ამ ეტაპზე განშორება ვამჯობინეთ. მიუხედავად ამისა, ჩვენი ურთიერთობები არ შეიბღალება. რაც შეეხება მის შემცვლელს, ამას რამდენიმე დღეში დავადგენთ.

და მაინც, მწვრთნელი წავიდა, გუნდი კი კვლავ მეათე ადგილზე დარჩა.

# რა უნდათ მოხუცებს ოლიმპიადაზე?

ატლანტის ოლიმპიადის საფეხბურთო ტურნირის მონაწილეებს 23 წლამდე ასაკის ფეხბურთელებთან ერთად, შეეძლოთ, 3 „ასაკსგადაცილებული“ მოთამაშეც ჰყოლოდათ, მაგრამ მომავალ ოლიმპიადაზე ამ წესმა შეიძლება, აღარ იმოქმედოს. გუშინ ციურიხში, ფიფას მორიგ სხდომაზე, სხვა საჭირბოროტო საკითხებთან ერთად ზემოთხსენებულზეც გაიმართა კამათი, მაგრამ ჭეშმარიტებას ვერ მიაღწიეს და ოლიმპიადების საფეხბურთო ტურნირზე ასაკობრივი ცენზის შემოღებაზე საუბარი საგაისოდ გადადეს. საბოლოო გადაწყვეტილება ვერ მიიღეს, მაგრამ ფიფას წარმომადგენელ ანდრეას ერენის განცხადებით, სავარაუდოა, რომ 23 წელს გადაცილებული ფეხბურთელები ოლიმპიადაში მონაწილეობას ველარ მიიღებენ.

ამ საკითხზე კამათი ალბათ გაგრძელდება, მანამდე კი ფიფას ხელისუფალთ დრო უქმად არ დაუკარგავთ და სიდნეის ოლიმპიადაზე მოსახვედრი 14 საგზური კონფედერაციებს შორის დაანაწილეს, დანარჩენი ორი კი ავტომატურად ერგოთ ავსტრალიელებს, როგორც ოლიმპიადის მასპინძლებს, და ნიგერიელებს, როგორც ბოლო ოლიმპიადის ჩემპიონებს. მოკლედ, XX და XXI საუკუნის მიჯნაზე ოლიმპიურ ოქროს გაითამაშებს ოთხი ევროპული, სამ-სამი აზიური და აფრიკული და ორ-ორი სამხრეთ ამერიკის და კონკაკაფის ქვეყანა. აქვე ისიც აღსანიშნავია, რომ ოლიმპიადაზე თამაშის შანსი ეძლევა ოკეანეთის ზონის შესარჩევი ტურნირის გამარჯვებულს, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ აზიის ზონაში მესამე ადგილზე გასულს სძლევს. ოლიმპიადის შესარჩევი ტურნირი მომავალი წლის 1 აგვისტოს დაიწყება და 2000 წლის აპრილამდე გაგრძელდება. კაცთა საფეხბურთო ტურნირის ფინალს სიდნეის ოლიმპიური სტადიონი უმასპინძლებს, ხოლო ქალების ფინალური ბურთაობა სიდნეის საფეხბურთო სტადიონზე გაიმართება.

## უკრაინა

**მე-15 ტურის ორშაბათის მატჩები: დინამო — ნივა 4:2, ზაპოროჟიე — შახტიორი 0:1**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 12 | 9 | 1 | 2 | 29:7 | 28 |
| დნეპრი | 12 | 9 | 1 | 2 | 28:7 | 28 |
| შახტიორი | 13 | 9 | 1 | 3 | 24:12 | 28 |
| კარპატი | 15 | 8 | 3 | 4 | 13:12 | 27 |
| ვორსკლა | 14 | 8 | 1 | 5 | 22:23 | 25 |
| ნივა | 15 | 7 | 2 | 6 | 23:16 | 23 |
| დონეცკი | 14 | 5 | 6 | 3 | 12:10 | 21 |
| კრივბასი | 15 | 4 | 6 | 5 | 14:13 | 18 |
| ჟირკა-ნიბასი | 15 | 5 | 2 | 8 | 16:28 | 17 |
| ზაპოროჟიე | 14 | 4 | 5 | 5 | 20:20 | 17 |
| ჩერნომორეცი | 14 | 4 | 5 | 5 | 18:17 | 17 |
| ტავრია | 15 | 5 | 2 | 8 | 18:21 | 17 |
| პრიკარპატია | 15 | 4 | 4 | 7 | 21:23 | 16 |
| ცსკა | 14 | 4 | 4 | 6 | 14:15 | 16 |
| მარიუპოლი | 15 | 3 | 4 | 8 | 14:31 | 13 |
| ტორპედო | 14 | 0 | 3 | 11 | 7:38 | 3 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ავთანდილ კაპანაძე (ნივა) | 10 |
| ალექსანდრ გაიდაში (ტავრია) | 10 |
| სერგეი რებროვი (დინამო) | 9 |

## შესარჩევი ტურნირი

FRANCE 98

### კონკაკაფი

**აშშ 3:0 კანადა**

1:0 რეინა (5), 2:0 ვეგერლე (81), 3:0 ვეგერლე (90)

**მექსიკა 3:3 კოსტა რიკა**

1:0 ჩავესი (1), 2:0 გალინდო (41), 2:1 მედფორდი (52), 3:1 ერმოსილიო (68), 3:2 სოტო (71), 3:3 ვენჩოპი (86)

**იამაიკა 2:2 სალვადორი**

0:1 დე მელო (47), 1:1 ბარტონი (52), 2:1 პოლი (78), 2:2 გუერა (87)

### აზია

A ჯგუფი

**ჩინეთი 1:0 ქუვეითი**

1:0 მა მინხუ (32)

**ყატარი 0:1 საუდეთი**

0:1 ალ ჯაბარი (63)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საუდეთი | 8 | 4 | 2 | 2 | 8:6 | 14 |
| ირანი | 8 | 3 | 3 | 2 | 13:8 | 12 |
| ჩინეთი | 8 | 3 | 2 | 3 | 11:14 | 11 |
| ყატარი | 8 | 3 | 1 | 4 | 7:10 | 10 |
| ქუვეითი | 8 | 2 | 2 | 4 | 7:8 | 8 |

### აფრიკის ჩემპიონთა თასი. VI ტური

A ჯგუფი

**USM (ალჟირი) 1:0 პრიმეირო აგოსტო (ანგოლა)**

1:0 ავირი (25)

**ორლანდო პაირატსი (სამხ. აფრიკა) 1:2 რაჯა კასაბლანკა (მაროკო)**

0:1 ნაზირი (26), 1:1 ლეკელა (88), 1:2 ნაზირი (89)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რაჯა კასაბლანკა | 6 | 3 | 2 | 1 | 10:6 | 11 |
| USM | 6 | 3 | 2 | 1 | 9:6 | 11 |
| პრიმეირო აგოსტო | 6 | 3 | 1 | 2 | 7:9 | 10 |
| ორლანდო პაირატსი | 6 | 0 | 1 | 5 | 5:10 | 1 |

B ჯგუფი

**ზამალექი (ეგვიპტე) 2:0 გოლდფილდსი (განა)**

1:0 მარე (30), 2:0 საბრი (73)

**კლაბ აფრიკანი (ტუნისი) 1:0 ფეროვიარიო მაპუტო (მოზამბიკი)**

1:0 დაა (26)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გოლდფილდსი | 6 | 3 | 1 | 2 | 9:4 | 10 |
| ზამალექი | 6 | 3 | 0 | 3 | 8:8 | 9 |
| კლაბ აფრიკანი | 6 | 2 | 2 | 2 | 3:4 | 8 |
| ფეროვიური მაპუტო | 6 | 2 | 1 | 3 | 5:8 | 7 |

*ფინალში შეხვდებიან „რაჯა კასაბლანკა“ და „გოლდფილდსი“. პირველი ფინალური მატჩი 30 ნოემბერს მაროკოში გაიმართება, განმეორებით 14 დეკემბერს განაში.*

# „აზოტი“ ყველას მოერია

ვერის ბაღი. 11 ნოემბერი
საქართველოს მე-7 ჩემპიონატი

**აზოტი 100:96 ვითა**

**აზოტი: გაბისონია (8), წიკლაური (16), ბოისა (16), ჯაფარიძე (27); კიკვიძე (11), კეჭაყმაძე (3), გოგოლაძე (2)**
**ვითა: აბრამიძე (21), დავითულიანი (14), კობეშავიძე (5), ორმოცაძე (7), კორძაძე (24); გაგნიძე (2), მიქაძე, ლოსაბერიძე (11), ჩუბინიძე (12)**

რუსთაველებმა ისე დაიწყეს, როგორც ლიდერს შეჰფერის და წუთიც არ იყო გასული, რომ ჯაფარიძისა და გაბისონიას ზუსტი ტყორცნებით „აზოტი“ დაწინაურდა 5:0. ვითელებმა უმალვე დავითულიანის და კობეშავიძის სროლებით უპასუხეს 5:5. რუსთაველები კვლავ დაწინაურდნენ, მაგრამ ჩემპიონი დიდ მანძილზე არ უშვებდა ლიდერს. მე-12 წუთისთვის აბრამიძის სამქულიანის შემდეგ ანგარიში კვლავ თანაბარია 20:20. მომდევნო სამი წუთი რუსთაველებმა უკეთესად წარმართეს და ჯაფარიძისა და ბოისას მეცადინეობით 7 ქულით დაწინაურდნენ 29:22. მოედანზე რამდენიმე საინტერესო პაექრობა იყო ყურადღების ცენტრში: გოგობერიშვილი — დავითულიანი, ჯაფარიძე — კორძაძე, ორმოცაძე — ბოისა. ამ ვითარებაში რუსთაველთა ლიდერებმა ძალზე აზრიანად წიკლაურს მიანდეს შეტევების დაგვირგვინება და ლევანმაც ჩინებულად ითამაშა — თანაგუნდელების კარგი პასებიც გამოიყენა და რამდენჯერმე ვითელთა გადაცემებიც ჩაჭრა. შემდეგ გოგობერიშვილმაც გამოიღო ხელი და რუსთაველები გვარიანად დაშორდნენ მეტოქეს. ამ პერიოდში ვითელთაგან მხოლოდ კორძაძე თამაშობდა კარგად და პარტნიორებიც მას ეძებდნენ შეტევების დასრულებისას. კორძაძე ალბათ, მიაღწევდა კიდეც თავისას, მაგრამ ერთ მომენტში ბურთის ჩატენვას ლამობდა, ვერ გამოუვიდა და ფარზე დაკიდებისთვის დააჯარიმეს, რამაც გოდერძიზე ცუდად იმოქმედა და იგი ვითელთა მწვრთნელმა დაასვენა, სხვებმა კი ტაიმის ბოლოს რუსთაველთა შეტევები ვერ შეაჩერეს. პირველი ნახევარი „აზოტმა“ კარგი მარაგით დაასრულა 45:33.

მეორე ტაიმის დასაწყისში კორძაძემ კვლავ ჩინებულად ითამაშა და სხვაობა ნელ-ნელა შემცირდა. ორმოცაძის სამქულიანის შემდეგ კი ხუთი ქულა ვახდა. მაგრამ ამ დროს კვლავ მშვენივრად ითამაშა წიკლაურმა და ზედიზედ კი ჯაფარიძის გარღვევის შემდეგ სხვაობა 23 ქულას აღწევს 75:52 და მატჩის ბედიც გადაწყვეტილი ჩანს.

ეს, ფაქტობრივად, ასეც იყო, მაგრამ დარჩენილ დროში თამაშისთვის ვითელები ქებათა-ქებას იმსახურებენ. „ვითამ“ ასეთ უიმედო სიტუაციაშიც არ შეწყვიტა ბრძოლა და ეს უპირველესად მამუკა აბრამიძის დამსახურებაა. ზედიზედ სამი შესანიშნავი გასვლა ფარქვეშ, შემდეგ ჩინებული პასი კორძაძეს და „ვითა“ სხვაობას ამცირებს. რა თქმა უნდა, „აზოტი“ ის გუნდი არ არის, რამეს რომ შეუშინდეს, მაგრამ ვითელთა შემართებამ რუსთაველები აანერვიულა და ლაშა ლოსაბერიძის ტყორცნის შემდეგ სხვაობა 11 ქულამდე შემცირდა 77:66. სამწუთიანი მონაკვეთი „ვითამ“ 14:2 მოიგო. მაგრამ რუსთაველები მალე მოეგნენ გონს და ჯაფარიძე და ბოისა უპასუხოდ არ ტოვებენ ვითელთა შეტევებს. ვითელები ჩქარობენ და ზედიზედ ჯარიმდებიან კიკვიძეზე, ბადრიც ზუსტად ასრულებს საჯარიმოებს. ასე, 10 ქულიანი სხვაობით მივიდნენ მეტოქენი თამაშის ბოლო 2 წუთამდე. თითქოს რაღაა სათამაშო, მაგრამ აბრამიძეს არა და არ უნდა მარცხთან შეგუება — მისი სამქულიანი და სხვაობა 7 ქულაღაა. გოგობერიშვილი გარღვევით პასუხობს, შემდეგ ლოსაბერიძის სამქულიანი. ბოლო წუთზე ბოისა აგდებს და ანგარიშია 99:91, მაგრამ აბრამიძე კიდევ ერთ სამქულიანს მიითვლის, მატჩის ბოლოს გუნდები შედეგიან შეტევებს ცვლიან და „აზოტი“ იმარჯვებს 100:96.

„აზოტმა“ დამსახურებულად გაიმარჯვა, ვითელებმა წააგეს, მაგრამ ღირსება შეინარჩუნეს.

**მაკაბი 80:75 სტუ**

**მაკაბი: ხუხაშვილი (18), იაშვილი (12), ტალაბაძე (18), ახალკაცი (11), ფერიაშვილი (10); ანდღულაძე (11)**
**სტუ: სპარსიაშვილი (13), ი. ბერიშვილი (22), ნოზაძე (19), ლასარეიშვილი (6), ხარაძე (8); გიგაშვილი (2), ბათხაძე, სუხიაშვილი (5)**

ეს პრინციპული მატჩი ძალზე დაძაბულად წარიმართა. სტუ-ს ეტყობოდა ტყუპი ძმებისგან ერთ-ერთის, დათო ბერიშვილის არყოფნა, რომელიც წინა მატჩში მოედნიდან გააძევეს. წინ გამუდმებით მაკაბელები იყვნენ, უკანასკნელ წუთზე სტუდენტებს ჰქონდათ ანგარიშის გათანაბრების შანსი, მაგრამ ზედიზედ სამი შეტევა ვერ დაასრულეს ხეირიანად და დამარცხდნენ.



ვითელების და აზოტელების დიდი ჭიდილი

ორი სწრაფი გარღვევით რუსთაველებს თორმეტქულიანი უპირატესობა აღუდგინა. ამ დროს რუსთაველთა ცენტრს ირაკლი ჯაფარიძეს სამი პერსონალური ჰქონდა და ვითელებს მის წინააღმდეგ უფრო აქტიურად უნდა ემოქმედათ, რათა შეცდომა დაეშვა დაცვაში, რადგან ჯაფარიძის გამოკლება რუსთაველთათვის სერიოზული დანაკარგი იქნებოდა. ვითელები ზუსტად ამას ეცადნენ და თამაში კორძაძეზე ააწყვეს, მაგრამ ჯაფარიძემ ძალზე ყურადღებით ითამაშა დაცვაში, შეტევაში კი იაქტიურა, რომ კორძაძემ აქეთ მიიღო ოთხი პერსონალური, ამ სიტუაციაში კი მას ჯაფარიძესთან მთელი მონდომებით აღარ შეეძლო თამაში და სხვები ირაკლის ვეღარ უმკლავდებოდნენ. რუსთაველები ზრდიან და ზრდიან სხვაობას. მატჩის დამთავრებამდე 12,50 წუთით ადრე ბოისა ზუსტად ტყორცნის და 65:49 „აზოტის“ სასარგებლოდ. სულ ცოტა ხანში

**დინამო 86:96 სდასუ**

**დინამო: მაისურაძე (20), ხოშტარია (30), ბეჟანიშვილი (26), კილაძე (4), ნინიაშვილი (5); თორთლაძე, ქევხიშვილი, მეჭურჭლიშვილი (1)**
**სდასუ: ჩერქეზიშვილი (13), ტურაშვილი (9), სანაძე (14), ოთიურიძე (23), დერიუგინი (32), მუშკუდიანი, ჩხეიძე (3), ნაცვლიშვილი (2)**

შეიძლება, ჩვენი ჩემპიონატის საერთო კლასი წინანდელთან შედარებით დაეცა რამდენიმე წამყვანი მოთამაშის საზღვარგარეთ წასვლის გამო, მაგრამ ბევრად საინტერესოდ რომ მიმდინარეობს, ფაქტია. „ვითასა“ და „დინამოს“ წამყვანი მოთამაშეები სხვა გუნდებში გადანაწილდნენ და პირველობამაც შეიძინა ის ხუთი გუნდი, რომელთა ერთმანეთთან თამაში მძაფრი ბრძოლით გამოირჩევა. „დინამოსა“ და სდასუს შეხვედრაც ასეთი იყო.

მეტოქეებმა ჩინებულად ითამაშეს. დასაწყისში გუნდები მორიგეობით წინაურდებოდნენ. დინამოელთაგან ხოშტარია და მაისურაძე გამოირჩეოდნენ, სდასუში კი მშვენივრად თამაშობდა დერიუგინი, რომელსაც ყმაწვილი ნინიაშვილი ვერ უმკლავდებოდა. მე-5 წუთისთვის, როცა „დინამო“ წინ იყო 15:14, დერიუგინისა და ოთიურიძის ზუსტმა ტყორცნებმა სდასუს გარკვეული მარაგი შეუქმნა, ტურაშვილის სამქულიანის შემდეგ კი სდასუ 11 ქულითაც დაწინაურდა 29:18. მომდევნო ოთხი წუთი კი „დინამოსი“ იყო — ბეჟანიშვილმა, მაისურაძემ და ხოშტარიამ ზედიზედ 12 უპასუხო ქულა მოიპოვეს და სამი ქულით დაწინაურდნენ. სდასუელები გიორგი ჩხეიძის სამქულიანმა გამოაფხიზლა, მაგრამ „დინამო“ ტემპს ინარჩუნებს და ტაიმის დამთავრებამდე სამნახევარი წუთით ადრე ხოშტარიას სამქულიანით „დინამო“ ექვსი ქულითაა წინ 41:35. აქ კვლავ მშვენივრად თამაშობს დერიუგინი, შემდეგ ამას ოთიურიძის ორი გარღვევაც ემატება და ტურაშვილის სამქულიანით ტაიმის ბოლოს სდასუ გადის წინ 45:44.

მეორე ტაიმი ისევ ისე გრძელდება: ხოშტარიას გასვლას ჩერქეზიშვილმა უპასუხა, ოთიურიძის ზუსტ ტყორცნას ბეჟანიშვილმა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ გუნდები ასე განაგრძობენ და მატჩის ბედიც ბოლო წუთებზე გადაწყდება, მაგრამ გაუთვალისწინებელი რამ ხდება: 55:54 სდასუს სასარგებლოდ, ოთიურიძე ბურთს აგდებს, მის წინააღმდეგ ჯარიმდებიან, ხოშტარია უკმაყოფილებას გამოხატავს, ტექნიკური შენიშვნით ჯარიმდება, ოთიურიძე ზუსტად ისვრის და ერთ შეტევაში ხუთი (!) ქულა მოაქვს თავისიანებისთვის 60:54. დინამოელებში წუთიერი დაბნეულობაა და სდასუ ამას მაქსიმალურად იყენებს: ისევ ოთიურიძე, დერიუგინი და სანაძე სამქულიანი სროლებით საგრძნობლად ზრდიან სხვაობას 70:54. ბეჟანიშვილი და კილაძე მდგომარეობის გამოსწორებას ცდილობენ და თითქოს ახერხებენ კიდეც ამას, მაგრამ აქ ზუსტად ისვრის სამქულიანს ჩერქეზიშვილი და ანგარიში 77:61 ხდება სდასუს სასარგებლოდ. ამის შემდეგ დინამოელებმა, ფაქტობრივად, შეწყვიტეს წინააღმდეგობა და სდასუს ებრძვის მხოლოდ ხოშტარია, რომელიც გადაცემებსაც ჭრის, ფარზეც ლომივით იბრძვის და შეტევებსაც შედეგიანად ასრულებს. მაგრამ პარტნიორები მას მხარს ვერ უბამენ და სდასუს გამოცდილ შემადგენლობას ერთი კაცის დამარცხება აღარ უჭირს.

**რიონი 70:68 კოლხა**

**რიონი: წერეთელი (20), ჭეიშვილი (20), ჩიკვაშვილი (8), ჯალაღონია (10); ბერეკაშვილი (10), კენჭაძე (8)**
**კოლხა: აბულაძე, ქარუმიძე (23), კვაჭაძე (15), ვაშაკიძე (3), ცქიტიშვილი (2); ბერიშვილი (8), ქვილითაია (6), უგრეხელიძე (11)**

12 ნოემბერი

**ასკ 79:78 შევარდენი**

**ასკ: დ. მოისწრაფიშვილი (19), ქართველიშვილში (18), ჭყონია (12), მინაშვილი (3), ჩხაიძე (10); პაპასკირი (12), ა. მოისწრაფიშვილი, თაბუაშვილი (5)**
**შევარდენი: ორჯონიკიძე (22), კაზანჯიანი (15), მაჭავარიანი (9), ჩარგეიშვილი (11), ღვინეფაძე (11); ესიტაშვილი, ცაგარეიშვილი, გაგნიძე (10)**

**სტუ 87:60 მერანი**

**სტუ: ი. ბერიშვილი (24), ნოზაძე (8), ხარაძე (6), სუხიშვილი (9), სპარსიაშვილი (9); ლომიძე (6), ჩაჩუა (6), ბათხაძე (3), ლასარეიშვილი (12), გიგაშვილი (4)**
**მერანი: მარხვაშვილი (9), მჭედლიშვილი (12), ჩაჩუა (4), ჩავლეიშვილი (16), ღვინიაშვილი; მთვარაძე (2), გოცაძე (1), სანიკიძე (4), ბარბაქაძე (3), ღარიბაშვილი (9)**

**დინამო 2 120:85 რიონი**

**დინამო 2: ვეფხვაძე (14), უჩუმბეგაშვილი (18), მშვილდაძე (6), მანველიშვილი (16), გრძელიშვილი (21); ხეცურიანი (26), ნოზაძე (2), მეგრელიშვილი (15), სიხარულიძე (2)**
**რიონი: წერეთელი (8), ჭეიშვილი (25), ჩიკვაშვილი (15), შანიძე (9), ჯალაღონია (11); ბერეკაშვილი (8), კენჭაძე (3), შალიკიანი (6), ჩიხლაძე**

**მაკაბი 79:71 კოლხა**

**მაკაბი: იაშვილი (2), ანდღულაძე (19), ხუხაშვილი (23), ტალაბაძე (16), ფერიაშვილი (16); ახალკაცი (3), შველიძე**
**კოლხა: აბულაძე (8), ვაშაკიძე (2), ქარუმიძე (5), კვაჭაძე (24), ცქიტიშვილი (4); ბერიშვილი (8), კეიდია (2), უგრეხელიძე (6), ქვილითაია (12)**

კოტე მგალობლიშვილი

# სკოტი, მაიკლს უჭირს!

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

10 ნოემბერი

**პორტლენდ ტრ. ბლეიზერსი 86**
**დეტროიტ პისტონზი 82**

ორშაბათს ღამით დიდი ბრძოლა გაჩაღდა არვიდას საბონისის (20 ქულა, 11 მოხსნა) პორტლენდსა და გრანტ ჰილის (21 ქულა) დეტროიტს შორის. მესამე მეოთხედის მერე დეტროიტი 62:60 იგებდა. მეოთხე მეოთხედის დაწყება და კენი ანდერსონის (29 ქულა, 11 პასი) გაგიჟება ერთი იყო. პორტლენდის პირველი 7 ქულა მის ანგარიშზეა, სულ კი ამ მეოთხედში 15 მოუგროვდა. საბოლოოდ, პორტლენდმა ზედიზედ მეხუთედ მოიგო და ხუთამდევე გაუზარდა მეტოქეს ზედიზედ წაგებულ მატჩთა ოდენობა.



პორტლენდი — დეტროიტი. გრანტ ჰილს (შუაში) ბლეიზერსელები აფარებენ

**სან ანტონიო სპურზი 100**
**ტორონტო რეპტორზი 98**

არანაკლებ დაძაბული იყო 10 ნოემბრის მეორე და უკანასკნელი მატჩი. ბოლოს მაინც გამოცდილმა დევიდ რობინსონმა (35 ქულა) და მისმა გუნდმა იმარჯვა. 2,31 წუთი რჩებოდა მატჩის დამთავრებამდე, როცა სან ანტონიო 96:93 იგებდა. ტორონტოს ფორვარდმა ჯონსმა (15 ქულა, 12 მოხსნა) მინიმუმამდე შეამცირა სხვაობა. აივერი ჯონსონმა ზუსტი სამქულიანი ტყორცნა (მთელ თამაშში სულ ეს იყო მისი მონაგარი), რასაც დოგ კრისტიმ (26 ქულა) ამგვარითვე უპასუხა და კვლავ მინიმუმამდე შეამცირა სხვაობა — 99:98. 1,3 წამილა რჩებოდა, როდესაც ტორონტო შონ ელიოტზე დაჯარიმდა. შონმაც ორიდან პირველი ჩააგდო, მაგრამ მოსაგებად ესეც საკმარისი აღმოჩნდა.

11 ნოემბერი

**მაიამი ჰითი 101**
**საკრამენტო კინგზი 82**

მაიამის საკრამენტოსთან არავითარი პრობლემა არ შექმნია. მშვენივრად ითამაშეს გუნდის წინახაზელებმა ტომ აუსტინმა (24 ქულა) და ფი. ჯეი ბრაუნმა (10 ქულა, 18 მოხსნა). წინა სეზონში გაუმჯობესებულთაგან საუკეთესო აუსტინი ძირითადი ცენტრის ალონზო მურნინგის ადგილზე თავს საუცხოოდ გრძნობდა და გულში ალბათ მურნინგს დეკემბერში კი არა, აგვისტოში უსურვებს ტრავმის საბოლოოდ მოშუშებას.

**ნიუ იორკ ნიქსი 93**
**დენვერ ნაგითსი 90**

**ნიქსი: იუინგი (28 + 11 მოხსნა), ჩილდსი (12 + 11 პასი)**
**ნაგითსი: სტისი (18), ბეტი (16 + 11 მოხსნა)**

დენვერის ახალბედას ბობი ჯექსონს შეეძლო მატჩის ოვერტაიმში გადაყვანა, მაგრამ დროის ამოწურვამდე 12,5 წამით ადრე ლლაპივით წაართვეს ბურთი, რაც მის გუნდს ზედიზედ მეხუთე მარცხად დაუჯდა.

**კლივლენდ კავალიერზი 101**
**ჩიკაგო ბულზი 80**

სენსაცია! ჩიკაგო შინ 21 ქულით დამარცხდა გუნდთან, რომლის მოხვედრასაც ფლეი-ოფში ცოტა ეჭვის თვალით უყურებენ. ერთობ სუსტად ითამაშა მაიკლ ჯორდანმა (19 ქულა), რომელსაც ზურგს ველარ უმაგრებს ტრავმირებული სკოტი პიპენი, ამ თამაშში ვერც როდმანი შეეშველა მაიკლს. ჩიკაგოს მწვრთნელმა ფილ ჯექსონმა გიჟი დენისი მხოლოდ 12 წუთი გააჩერა მოედანზე, რამაც როდმანი ერთობ ალაშფოთა. ასეთ თამაშს ის მიჯრობდა, სულ არ მეთამაშაო, გაიძახოდა იგი. კლივლენდელებში საუკეთესო, რა თქმა უნდა, შონ კემპი იყო (21 ქულა).

**სან ანტონიო სპურზი 93**
**მინესოტა ტიმბერვულვზი 92**

**სპურზი: რობინსონი (35 + 16 მოხსნა + 6 პასი), დანკანი (22)**
**ტიმბერვულვზი: გულიოტა (22), მარბერი (15 + 11 პასი)**

სპურზმა კვლავ მოიგო, თუმცა, ამჯერად მინიმალური სხვაობით. დევიდ რობინსონს ცოტა პარტნიორებისკენაც რომ გაეხედა, სამმაგ დუბლს გამოკრავდა ხელს.

**ატლანტა ჰოუქსი 89**
**სიეტლ სუპერსონიქსი 87**

**ჰოუქსი: სმიტი (21)**
**სუპერსონიქსი: ბეიკერი (17)**

ატლანტამ ვაჟკაცურად იბრძოლა და დამსახურებულადაც გაიმარჯვა, თანაც ზედიზედ მეშვიდედ. ქორების ცენტრი დიკემბე მუტომბო სეზონის პირველი კვირის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს.

**ლოს ანჯელეს ლეიკერსი 118**
**დალას მავერიკსი 96**

**ლეიკერსი: ონილი (37 + 12 მოხსნა)**
**მავერიკსი: სკოტი (27)**

შაკილ ონილმა, შეიძლება ითქვას, დაიბრიყვა მავერიკსის 229-სანტიმეტრიანი ცენტრი შონ ბრედლი.

**ვანკუვერ გრიზლიზი 119**
**ლოს ანჯელეს კლიპერსი 113**

**გრიზლიზი: აბდურ-რაჰიმი (29), დანიელსი (18 + 10 პასი)**
**კლიპერსი: როჯერსი (26)**

ირაკლი ფირაშვილი

აღმოსავლეთის კონფერენცია

| ატლანტიკის დივიზიონი | | | |
|---|---|---|---|
| ნიუ ჯერსი | 4 | 1 | 80,0 |
| მაიამი | 5 | 2 | 71,4 |
| ორლანდო | 3 | 2 | 60,0 |
| ნიუ იორკი | 4 | 3 | 57,1 |
| ვაშინგტონი | 2 | 4 | 33,3 |
| ბოსტონი | 1 | 5 | 16,7 |
| ფილადელფია | 0 | 5 | — |

| ცენტრალური დივიზიონი | | | |
|---|---|---|---|
| ატლანტა | 7 | 0 | 100,0 |
| მილუოკი | 4 | 1 | 80,0 |
| შარლოტი | 4 | 2 | 66,7 |
| კლივლენდი | 3 | 2 | 60,0 |
| ჩიკაგო | 4 | 3 | 57,1 |
| ინდიანა | 2 | 4 | 33,3 |
| დეტროიტი | 2 | 5 | 28,6 |
| ტორონტო | 1 | 5 | 16,7 |



სან ანტონიო — ტორონტო. მარკუს კემპი და დევიდ რობინსონი

დასავლეთის კონფერენცია

| შუა დასავლეთის დივიზიონი | | | |
|---|---|---|---|
| სან ანტონიო | 6 | 1 | 85,7 |
| მინესოტა | 4 | 2 | 66,7 |
| ჰიუსტონი | 3 | 2 | 60,0 |
| დალასი | 3 | 3 | 50,0 |
| იუტა | 2 | 4 | 33,3 |
| ვანკუვერი | 3 | 4 | 42,9 |
| დენვერი | 0 | 5 | — |

| წყნარი ოკეანის დივიზიონი | | | |
|---|---|---|---|
| ლეიკერსი | 5 | 0 | 100,0 |
| პორტლენდი | 5 | 1 | 83,3 |
| ფინიქსი | 3 | 1 | 75,0 |
| სიეტლი | 5 | 2 | 71,4 |
| კლიპერსი | 1 | 5 | 16,7 |
| საკრამენტო | 1 | 6 | 14,3 |
| გოლდენ სტეიტი | 0 | 6 | — |

# შუმახერი მშრალზე დასვეს

სამშაბათს ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ განიხილა ფორმულა I-ის წლევანდელი სეზონის ბოლო ეტაპზე მიხაელ შუმახერის „საქმენი საგმირონი“ და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი დასაჯა — გადაწყვიტა, წელს დაგროვებული ყველა ქულის ჩამორთმევა, თუმცა, მის მიერ ნაჩვენები შედეგები ძალაში დატოვა. FIA-ს პრეზიდენტის — მაქს მოსლის თქმით, შუმახერი ჟაკ ვილნევთან განზრახ შეჯახებისთვის შეიძლებოდა გაცილებით მკაცრად დაესაჯათ — გაისად ეტაპების გამოტოვებით, ან ჯარიმის დაკისრებით. ასე რომ, გერმანელი მრბოლი განკითხვის დღეს საკმაოდ მსუბუქად გადაურჩა.

შუმახერისთვის ქულების ჩამორთმევის შედეგად ვიცე-ჩემპიონობის პატივი წილად ხვდა მის თანამემამულეს — უილიამსელ ჰაინც-ჰარალდ ფრენცენს. მესამე ადგილი კი ბრიტანელ დევიდ კულჰარდს დარჩა. ამრიგად, შუმახერმა ბოლო ეტაპზე ჩადენილი ავკაცობის გამო მეორე ადგილიც დაკარგა.

ცხადია, ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილება მრბოლს ძლიერ ალაშფოთებდა, მაგრამ მისი აზრი ჯერჯერობით უცნობია, გერმანულმა და სხვა ჟურნალ-გაზეთებმა კი სასჯელს გაუგონარი უწოდეს. „შპორტ ბილდმა“ FIA-ს გადაწყვეტილება სულელურად მიიჩნია, ამასთან, განაცხადა, ასეთი არაობიექტური გადაწყვეტილებები მარტო მიხაელს კი არა, სხვა მრბოლებსაც ვნებსო. „ეს ალოგიკურია, ნუთუ არ შეეძლოთ, შუმახერი ფულით დაესაჯათ, ანდა ერთი-ორი ეტაპის გამოტოვებით? მთელი სეზონის მანძილზე მოპოვებულის წყალში ჩაყრა უსამართლობაა. ასე არ შეიძლება“ — წერს ჟურნალი. ამ გამოცემამვე გამოაქვეყნა შუმახერის გულშემატკივრების წერილები, რომლებშიც FIA ერთობ ცუდად მოიხსენიება. არანაკლებ ცნობილმა „აბენცაიტუნგმა“ თხოვნით მიმართა დამსჯელებს, იქნებ გადაწყვეტილებას გადახედოთ და შუმახერს მეორე ადგილი არ ჩამოართვათო. იქვე გაზეთმა შუმახერისადმი მიმართვაც დაბეჭდა, რომელშიც დაახლოებით ამას მოუწოდებს — არ დაიხიო, არ დანებდე! გერმანელი პილოტისთვის მეორე ადგილის ჩამორთმევა არც ინგლისელებს გამორჩენიათ. გაზეთმა „სანმა“ სასჯელი „სკანდალურ ვერდიქტად“ მონათლა, FIA-ს სადისციპლინო კომისიის წევრებს კი ჯალათები უწოდა. „არდიანმა“ შუმახერს FIA-ში აპელაციის შეტანა ურჩია, თუმცა იქვე მრავლისმეტყველად დაამატა, განსახილველად შეტანილი აპელაციები ბევრი ყოფილა, დაკმაყოფილებული კი — ჯერ არაო.

ასეა თუ ისე, მიხაელ შუმახერმა, თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთმა საუკეთესო ავტომრბოლმა გასრულებული სეზონის ბოლო ეტაპზე განზრახ უხეშობის გამო მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული, მოგვიანებით კი ვიცე-ჩემპიონობაც დაკარგა.



შუმახერი (მარჯვნივ) ჯერჯერობით ჩუმად არის

**ირაკლი გუგუშვილი**

გუშინ ჟურნალისტთა სახლში საქართველოს საავტომობილო ფედერაციამ ავსტრიიდან და გერმანიიდან საქმიანი ვიზიტით ჩამოსულ სტუმრებს უმასპინძლა. საქართველოს კოლეგების დახმარების მიზნით ეწვივნენ — საერთაშორისო ტურიზმის ალიანსის გენერალური დირექტორი პეტერ დოგგეილერი, ავსტრიის საავტომობილო ფედერაციის ხელმძღვანელი ხორსტ დიურშტეინერი, გერ-

## დაგეხმარებით გვპირდებიან გერმანელები და ავსტრიელები

მანიის საავტომობილო კლუბის თავმჯდომარე კარლ სუკრესტერი და ქალბატონი იოლიტა ვინკეტი. საქართველოს საავტომობილო ფედერაციის თავკაცებმა ვიქტორ თოდაძემ და შალვა ოგბაიძემ სტუმრებთან ერთად პრესკონფერენცია გამართეს. საუბარი შეეხებოდა საქართველოში „კარნეტ დე ტურისტის“ უფლებების გავრცელებას. ბევრი ითქვა იმის თაობაზე, ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს რა სიკეთეს მოუტანს ეს ურთიერთობები, რა მიზნებს ისახავენ სტუმრები სამომავლოდ. ვიქტორ თოდაძის განცხადებით, OAMTC (ავსტრიის ავტო-მოტო და ტურიზმის კლუბი) და ADAC (სრულიად გერმანიის საავტომობილო კლუბი) დიდ დახმარებას გვპირდებიან, რაც ხელს შეუწყობს საქართველოში საავტომობილო კლუბების განვითარებას.

# სარბიელი

## სპორტული ლატარია “CROCO”

### საფრანგეთის ჩემპიონატი. XVI ტური

15 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ნანტი — მეცი | 2,2 | 2,6 | 2,8 |
| ბორდო — პსჟ | 2,2 | 2,7 | 2,7 |
| გინგამი — რენი | 1,7 | 2,9 | 4,0 |
| ლანსი — კაენი | 1,2 | 4,2 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,2 |
| დინამო — შატორუ | 1,3 | 3,8 | 6,0 |
| მარსელი — ოსერი | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| ლე ავრი — სტრასბური | 1,9 | 2,9 | 3,1 |
| მონპელიე — ბასტია | 1,8 | 2,9 | 3,4 |
| ტულუზი — მონაკო | 2,4 | 2,8 | 2,3 |

### ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XVIII ტური

15 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბრედფორდი — ტრანმერი | 1,4 | 3,1 | 6,0 |
| ჩარლტონი — ქრიუ | 1,2 | 4,2 | 8,0 |
| ჰადერსფილდი — რედინგი | 2,3 | 3,0 | 2,3 |
| ნორვიჩი — მიდლსბრო | 2,3 | 3,0 | 2,3 |
| ნოტინგემი — ბირმინგემი | 1,2 | 4,2 | 8,0 |
| ოქსფორდი — ბერი | 1,7 | 3,0 | 3,8 |
| პორტ ვეილი — ვესტ ბრომვიჩი | 2,2 | 2,9 | 2,5 |
| პორტსმუთი — სანდერლენდი | 2,2 | 3,0 | 2,4 |
| ქუინზ პარკი — სტოკი | 1,7 | 3,0 | 3,8 |
| შეფილდ იუნაიტედი — მანჩესტერ სიტი | 1,2 | 4,2 | 8,0 |
| სტოკპორტი — სვინდონი | 2,5 | 2,9 | 2,2 |
| ვულვერჰემპტონი — იფსვიჩი | 1,25 | 4,0 | 7,0 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია B. XI ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 15 ნოემბერი | | | |
| ლუკეზე — კოევო | 1,7 | 2,8 | 4,2 |
| 16 ნოემბერი | | | |
| კალიარი — ფ. ანდრია | 1,3 | 3,4 | 7,0 |
| მონცა — ფოჯა | 2,0 | 2,8 | 3,0 |
| პადოვა — ანკონა | 1,8 | 3,0 | 3,3 |
| პერუჯა — დი სანგრო | 1,5 | 3,0 | 5,3 |
| რეჯანა — ვენეცია | 2,8 | 2,8 | 2,1 |
| რეჯინა — ტორინო | 1,8 | 2,9 | 3,4 |
| სალერნიტანა — რავენა | 1,25 | 3,8 | 7,5 |
| ტრევიზო — პესკარა | 1,7 | 2,9 | 4,0 |
| ვერონა — ჯენოა | 1,25 | 3,8 | 7,5 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XII ტური

16 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| სალამანკა — კომპოსტელა | 2,1 | 2,9 | 2,7 |
| სოსიედადი — ატლეტიკო | 2,1 | 2,8 | 2,8 |
| ვალენსია — ბეტისი | 1,9 | 2,9 | 3,1 |
| დეპორტივო — ესპანიოლი | 2,2 | 2,8 | 2,6 |
| სპორტინგი — სარაგოსა | 2,1 | 2,9 | 2,7 |
| ტენერიფე — მერიდა | 1,5 | 3,0 | 5,3 |
| მალიორკა — ოვიედო | 1,4 | 3,0 | 6,5 |
| ბარსელონა — სელტა | 1,35 | 3,3 | 6,5 |
| რასინგი — ბილბაო | 1,9 | 2,9 | 3,4 |
| რეალი — ვალიადოლიდი | 1,1 | 5,3 | 10,0 |
| 0:1 | 1,3 | 3,4 | 4,4 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. II დივიზიონი. XIV ტური

16 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ლეიდა — ნუმანსია | 1,5 | 3,0 | 5,3 |
| ორენსე — ლას პალმასი | 1,4 | 3,0 | 6,5 |
| ხაენი — ეიბარი | 1,9 | 2,8 | 3,2 |
| სერესი — ალბასეტე | 1,8 | 2,8 | 3,6 |
| ელჩე — ტოლედო | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| ესტრემადურა — ვილიარეალი | 1,35 | 3,3 | 6,5 |
| ბადახოსი — რაიო ვალეკანო | 2,4 | 2,6 | 2,4 |
| ლოგრონიესი — ერკულესი | 2,3 | 2,7 | 2,5 |
| სევილია — ოსასუნა | 1,4 | 3,0 | 6,5 |
| ატლეტიკო B — ლევანტე | 1,15 | 4,7 | 9,0 |
| ლეგანესი — ალავესი | 1,8 | 2,8 | 3,6 |

### ჰოლანდიის ჩემპიონატი

| | | | |
|---|---|---|---|
| 14 ნოემბერი | | | |
| ტილბურგი — ტვენტე | 2,4 | 3,0 | 2,2 |
| სიტარდი — ჰერენვენი | 2,8 | 3,0 | 2,0 |
| 16 ნოემბერი | | | |
| სპარტა — მაასტრიხტი | 1,25 | 4,0 | 7,0 |
| გრონინგენი — ეინდჰოვენი | 6,0 | 3,8 | 1,3 |
| ვალვაიკი — ბრედა | 2,1 | 2,9 | 2,7 |
| გრააფსხაპი — ფეიენოორდი | 2,4 | 3,0 | 2,2 |
| ნაიმეგენი — ვიტესი | 2,8 | 3,0 | 2,0 |

### შოტლანდიის ჩემპიონატი. XIII ტური

15 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| აბერდინი — რეინჯერსი | 6,0 | 3,8 | 1,3 |
| სელტიკი — მოზერველი | 1,1 | 5,3 | 10,0 |
| 0:1 | 1,3 | 3,4 | 4,4 |
| დანფერმლაინი — ჰიბერნიანი | 1,8 | 2,9 | 3,4 |
| ჰართსი — სენტ ჯონსტონი | 1,25 | 4,0 | 7,0 |
| კილმარნოკი — დანდი იუნაიტედი | 2,1 | 2,8 | 2,8 |

### ავსტრიის ჩემპიონატი. XVIII ტური

15 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| რაპიდი — აუსტრია | 2,0 | 2,9 | 2,9 |
| ლინცერი — ლუსტენაუ | 1,15 | 4,7 | 9,0 |
| ტიროლი — რიდი | 1,5 | 3,0 | 5,3 |
| გრაცერი — ზალცბურგი | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| ადმირა — შტურმი | 6,0 | 3,4 | 1,35 |

### შვეიცარიის ჩემპიონატი. XIX ტური

| | | | |
|---|---|---|---|
| 15 ნოემბერი | | | |
| სენტ გალენი — ბაზელი | 1,35 | 3,3 | 6,5 |
| ქსამაქსი — ლოზანა | 2,4 | 3,0 | 2,2 |
| 16 ნოემბერი | | | |
| გრასჰოპერი — კარუჟი | 1,05 | 6,0 | 14,0 |
| 0:1 | 1,1 | 4,2 | 6,0 |
| ლუცერნი — არაუ | 1,8 | 2,9 | 3,4 |
| სერვეტი — კრინსი | 1,2 | 4,2 | 8,0 |
| სიონი — ციურიხი | 1,5 | 3,0 | 5,3 |

### მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 15 ნოემბერი | | | | |
| უკრაინა — ხორვატია | (3,5-1,2) | 1,7 | 2,8 | 4,2 |
| იტალია — რუსეთი | (1,05-7,5) | 1,15 | 4,7 | 9,0 |
| 0:1 | | 1,5 | 3,0 | 4,0 |
| ბელგია — ირლანდია | (1,3-2,8) | 1,7 | 2,8 | 4,2 |
| იუგოსლავია — უნგრეთი | (—-30,0) | 1,15 | 4,7 | 9,0 |
| 16 ნოემბერი | | | | |
| არგენტინა — კოლუმბია | | 1,3 | 3,6 | 6,5 |
| ურუგვაი — ეკვადორი | | 1,7 | 3,0 | 3,8 |
| პერუ — პარაგვაი | | 1,6 | 3,1 | 4,2 |
| ჩილე — ბოლივია | | 1,1 | 5,3 | 10,0 |

### ამხანაგური მატჩები

15 ნოემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| გერმანია — სამხრეთ აფრიკა | 1,15 | 4,7 | 9,0 |
| ინგლისი — კამერუნი | 1,2 | 4,2 | 8,0 |

### გოლები:

| | | |
|---|---|---|
| საფრანგეთი (მე-16): | 21 და ნაკლები — 1,9; | 23 და მეტი — 1,9 |
| ესპანეთი (მე-12): | 27 და ნაკლები — 1,9; | 29 და მეტი — 1,9 |

ფსონების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე.

# მოიამ სამპრასი დააჩოქა

ATP ტურის მსოფლიოს ჩემპიონატი, რომელიც ჰანოვერში უკვე მერვედ იმართება, დიდი სლემის ტურნირებთან ერთად ყველაზე პრესტიჟულ პირველობად ითვლება. ბევრის აზრით, ჩოგბურთელების ნამდვილი ძალა სწორედ აქ ჩანს, ელიტის ნამდვილი წევრების პაექრობისას და არა დიდი სლემის ტურნირებზე. ამ შეხედულების დასასაბუთებლად ის ფაქტები მოჰყავთ, რომ სამპრასმა წელს ავსტრალიის ღია პირველობა და უიმბლდონი ისე მოიგო, ათეულის ერთადერთ, თანაც არცთუ საუკეთესო წარმომადგენელს — ტომას მუსტერს აჯობა. პატრიკ რაფტერს კი ამერიკის ღია პირველობაზე მხოლოდ ერთი განთესილი — მაიკლ ჩანგი გადაეღობა გზაზე. ჰანოვერში კი იოლი მეტოქეები არ არსებობენ.

ტურნირის რვა მონაწილე თავიდან ორ — წითელ და თეთრ ჯგუფებად არიან დაყოფილნი, რომელთაგან შემდეგ ეტაპზე — ნახევარფინალში პირველ-მეორე ადგილებზე გასულები გადიან. შესარჩევ ჯგუფში თითო მატჩის მოგება 100 ათასი დოლარის ტოლფასია, სულ კი საპრიზო ფონდი 3,3 მილიონ დოლარს შეადგენს.

წინა წლების გამარჯვებულნი:

1990 — ანდრე აგასი
1991 — პიტ სამპრასი
1992 — ბორის ბეკერი
1993 — მიხაელ შტიხი
1994 — პიტ სამპრასი
1995 — ბორის ბეკერი
1996 — პიტ სამპრასი

წელს ჰანოვერის მსოფლიოს ჩემპიონატზე დიდი ცვლილებებია. ჩვეული მონაწილეების — ბოლო სამი ტურნირის ფინალისტის — გერმანელი ბორის ბეკერის, ხორვატი გორან ივანიშევიჩის, ანდრე აგასისა და ჰოლანდიელი რიჩარდ კრაიჩეკის ნაცვლად აქ ჩოგბურთის ახალგამომცხვარი ვარსკვლავები — გრეგ რუზეცკი, პატრიკ რაფტერი, იონას ბიორკმანი და კარლოს მოია იასპარეზებენ. ტურნირმა წელს საფარიც გამოიცვალა. წლების განმავლობაში მეთიხნარეები, განსაკუთრებით კი ტომას მუსტერი, გამუდმებით წუწუნებდნენ, მსოფლიოს ჩემპიონატზე ძალზე სწრაფი საფარის გამო დიდი უპირატესობა ძლიერი მოწოდების პატრონებს აქვთო, ამიტომ ტურნირის ორგანიზატორებმა წლეულს ხალიჩა ჰარდით შეცვალეს და უფრო მძიმე ბურთების გამოყენებაც არჩიეს. ამით უკანახაზელების შანსები, ფაქტობრივად, სამპრას-რუზეცკისნაირებისას გაუთანაბრეს, თუმცა, რევოლუციის წამომწყებ ტომას მუსტერს, რომელმაც ჰანოვერში მოხვედრა ვერ მოახერხა, ეს სიახლეები ალბათ ნაკლებ გაახარებს. იგი აქ სათადარიგოთა სკამზე „ზის“ და ტურნირში მხოლოდ რომელიმე მონაწილის უარის ან ტრავმის შემთხვევაში თუ ჩაერთვება.

## წითელი ჯგუფი

**პირადი შეხვედრები:** სამპრასი — რაფტერი 7:1; სამპრასი — რუზეცკი 5:0; სამპრასი — მოია 1:0; რაფტერი — რუზეცკი 3:1; რაფტერი — მოია 0:3; რუზეცკი — მოია 1:1




**პიტ სამპრასი**
აშშ
ასაკი: 26 წელი
1,85 მ, 77 კგ
მემარჯვენე
კლასიფიკაცია: 1
გასული წლის ბოლოს: 1
მოგებული ტურნირები: 51




**პატრიკ რაფტერი**
ავსტრალია
ასაკი: 24 წელი
1,85 მ, 79 კგ
მემარჯვენე
კლასიფიკაცია: 3
გასული წლის ბოლოს: 62
მოგებული ტურნირები: 2




**გრეგ რუზეცკი**
ინგლისი
ასაკი: 24 წელი
1,90 მ, 81 კგ
მემარცხენე
კლასიფიკაცია: 5
გასული წლის ბოლოს: 48
მოგებული ტურნირები: 5




**კარლოს მოია**
ესპანეთი
ასაკი: 21 წელი
1,90 მ, 80 კგ
მემარჯვენე
კლასიფიკაცია: 7
გასული წლის ბოლოს: 28
მოგებული ტურნირები: 3

## თეთრი ჯგუფი

**პირადი შეხვედრები:** ჩანგი — ბიორკმანი 3:0; ჩანგი — კაფელნიკოვი 0:1; ჩანგი — ბრუგერა 4:3; ბიორკმანი — კაფელნიკოვი 0:2; ბიორკმანი — ბრუგერა 1:1; კაფელნიკოვი — ბრუგერა 4:2




**მაიკლ ჩანგი**
აშშ
ასაკი: 25 წელი
1,75 მ, 68 კგ
მემარჯვენე
კლასიფიკაცია: 2
გასული წლის ბოლოს: 2
მოგებული ტურნირები: 31




**იონას ბიორკმანი**
შვედეთი
ასაკი: 25 წელი
1,84 მ, 76 კგ
მემარჯვენე
კლასიფიკაცია: 4
გასული წლის ბოლოს: 68
მოგებული ტურნირები: 3




**ევგენი კაფელნიკოვი**
რუსეთი
ასაკი: 23 წელი
1,90 მ, 81 კგ
მემარჯვენე
კლასიფიკაცია: 6
გასული წლის ბოლოს: 3
მოგებული ტურნირები: 14




**სერხი ბრუგერა**
ესპანეთი
ასაკი: 26
1,88 მ, 76 კგ
მემარჯვენე
კლასიფიკაცია: 8
გასული წლის ბოლოს: 81
მოგებული ტურნირები: 14

### სამშაბათი

ტურნირის წინ ესპანელი კარლოს მოიას აშკარა აუტსაიდერად მიაჩნდა, მაგრამ 21 წლის ბარსელონელმა თავისი პირველი მატჩით ყველა პესიმისტი ჩააჩუმა. მისი მეტოქე კი ჰანოვერის ტურნირის გახსნის შეხვედრაში თვით მსოფლიოს პირველი ჩოგანი პიტ სამპრასი იყო. ამათ აქამდე მხოლოდ ერთხელ ეთამაშათ ერთმანეთთან — წლევანდელი ავსტრალიის ღია პირველობის ფინალში, სადაც ამერიკელის უპირატესობა აშკარა იყო. თავიდან მოია ძალზე ნერვიულობდა და მოწოდების შენარჩუნება ძალზე უჭირდა, მაგრამ მეხუთე გეიმში სამპრასმა მოულოდნელად ორი საკმაოდ იოლი ბურთი გააფუჭა ბადესთან და მეტოქეს ბრეიკი დაანება. უმეტესობამ ეს წარუმატებლობა შემთხვევითად ჩათვალა, მაგრამ ფეხზე დასმული ტილისა არ იყოს, ესპანელს მოულოდნელად გული მიეცა და შესანიშნავად ათამაშდა — მოწოდებები 200 კმ-სთ-ს გადააცილა, მერე სულ მთლად გათავხედებულმა მრისხანე მეტოქე თავზე გადაგდებებით გააბრიყვა, სეტი კი კიდევ ერთი ბრეიკით მოიგო. მეორე ხელში მოიამ მნიშვნელოვნად უკლო, რაც განსაკუთრებით მისი პირველი მოწოდების პროცენტს დაეტყო, რომელიც 70-დან 50-მდე დაეცა, თუმცა სამპრასი ამ დღეს თავის თავს ნაღდად არ ჰგავდა. მას თითქოს ეშინდა ბადესთან გასვლა, უკანა ხაზზე კი თითქმის ყოველ გათამაშებაში გამარჯვებული ესპანელი რჩებოდა. ყველაფერი მეორე სეტის ბოლოს შეიძლებოდა მორჩენილიყო, როდესაც 6:5-ზე თავის სასარგებლოდ მოიას ორი მატჩპოინტი ჰქონდა, მაგრამ ამან მეტოქეზე მეტად თავად ესპანელი შეაშინა, რომელსაც მობილიზების ნაცვლად სახეზე მკვდრის ფერი დაედო. სამპარსი მატჩპოინტებსაც დაუძვრა და მერე ტაი-ბრეიკიც მოიგო, თუმცა გადამწყვეტი სეტის პირველივე გეიმში სასტიკად არ გაუმართლა: მოიას ჯერ აშკარად აცილებული ბურთი ჩაუთვალეს, მერე კი მეორე, არანაკლებ საეჭვო ქულაც მიუმატეს. ამერიკელი დაჩოქილი შესთხოვდა მთავარ მსაჯს გადაწყვეტილების შეცვლას, მაგრამ არაფერმა გაჭრა. მერე კი დაიწყო, რაც დაიწყო — მოიამ ერთ ბრეიკს მეორე მიაყოლა, მეორეს მესამე და 5:0 დაწინაურდა. სამპრასი კი თამაშშიც სცოდავდა და ტაქტიკაშიც, საბოლოოდ კი მოიამ საათსა და 55 წუთში 6:3, 6:7 (4:7), 6:2 მოიგო.

თუ პირველ მატჩში ერთმანეთს ავსტრალიის ღია პირველობის ფინალისტები შეხვდნენ, მეორე ამერიკის ღია პირველობის ფინალის გამეორება აღმოჩნდა: გრეგ რუზეცკი — პატრიკ რაფტერი, თუმცა ამჯერად შურისძიება არ შედგა, ავსტრალიელი კვლავ უფრო ძლიერი იყო — 4:6, 6:3, 6:4 რაფტერის სასარგებლოდ.

დღის ბოლო მატჩში ერთმანეთს როლან გაროსის ორი ყოფილი ჩემპიონი — მაიკლ ჩანგი და სერხი ბრუგერა შეხვდა. პირველმა ხელმა საათსა და 13 წუთს გასტანა და მისი გამარჯვებული მხოლოდ ტაი-ბრეიკზე გამოვლინდა. ბრუგერამ შედარებით ნაკლები შეცდომების მიუხედავად, დამაგვირგვინებელი დარტყმის შესრულება ვერაფრით მოახერხა, ოთხი სეტ-პოინტი გაანიავა და ტაი-ბრეიკი 8:10 დათმო. მეორე ხელში დაუღლელი ჩანგი უკვე აშკარა უპირატესობას ფლობდა, აღარც ბადესთან გასვლებს ერიდებოდა და აშკარად გატეხილ მეტოქეს იოლადაც მოუგო 7:6, 6:2.

**ავთანდილ სვანიძე**



## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**დეტროიტი — კოლორადო 0:2**

**შაიბები: კორბე 5 (0:1), მესიე 3 (0:2)**

მთავარმა მსაჯმა ჩასტვინა თუ არა, მოედანზე ჯიდი შეხლა-შემოხლა ატყდა. კოლორადოელმა კლოდ ლემიემ და დეტროიტელმა დარენ მაკარტიმ ერთი წუთის განმავლობაში ჩხუბით რომ ვერ იჯერეს გული, ორივე მოედნიდან მიაბრძანეს. ამით იქნებ დამთავრდეს 1996 წლის ფლეი-ოფში დაწყებული ომი, რომელიც დასავლეთის უძლიერეს გუნდთა პაექრობას ახლავს.

ამის მერე სტენლის თასის ბოლო ორი წლის მფლობელებმა ულამაზესი და უშელავათო ბრძოლა გააჩაღეს. პირველ ორ პერიოდში ინიციატივას მასპინძლები ფლობდნენ, მაგრამ იმ დღეს რუას ნაცვლად მოთამაშე კრეიგ ბილინგტონმა სასწაულები მოახდინა. სწორედ მისი დამსახურებაა, საბოლოოდ კოლორადომ რომ გაიმარჯვა და ბოლო ფლეი-ოფში დამარცხებისთვის კონკურენტზე ჯავრი იყარა. ჯერ კორბემ დაასრულა კამენსკის მიერ წამოწყებული კომბინაცია, შემდეგ კი ახალბედა ერიკ მესიემ დეტროიტელთა გოლკიპერ ოსგუდს შაიბა ფეხებშუა გაუძვრინა.

# სნაიპერი ისევ ფრონტზეა

**10 ნოემბერი. ბუფალო — ედმონტონი 4:4, აილენდერსი — ნიუ ჯერსი 1:3, ჩიკაგო — კალგარი 1:1, დალასი — სენტ ლუისი 1:7, ანაჰაიმი — სან ხოსე 4:6.**

**11 ნოემბერი. ფილადელფია — ოტავა 1:0, ტორონტო — ჩიკაგო 5:2, ფინიქსი — ტამპა 5:2, ლოს ანჯელესი — ვანკუვერი 8:1.**

სენტ ლუისის თავკაცის — ჯოელ კენევილის ახალმა ტაქტიკამ გუნდის წამყვან სნაიპერ ბრეტ ჰალს ბოლო ხანს დაცვაში მიუჩინა ადგილი და იგიც წარმატებით ასრულებდა ამ მოვალეობას. სამაგიეროდ, „ბლუზმენთა“ შედეგიანობამ იკლო — მათ ზედიზედ სამი მატჩი წააგეს და თითოეულში შაიბაზე მეტი ვერ გაიტანეს. ახლახან ჰალი, როგორც იქნა, დაუბრუნეს ჩვეულ ამპლუას და სნაიპერმაც დაამტკიცა, რომ ამ ადგილზე უფრო გამოადგება გუნდს — დალასს ერთი გოლი ხომ შეუგდო, სამი პასიც მიაწოდა პარტნიორებს. ორი შაიბით სლოვაკმა დემიტრამ ისახელა თავი. დალასის გოლკიპერ ბელფორს კი, ეტყობა, ისე გააცალა სიქა მეორე პერიოდში 4 გოლის გაშვებამ, რომ შეისვენა და ასპარეზი ტურეკს დაუთმო, თუმცა, სტუმრებმა არც ამას დააყარეს უკეთესი დღე.

თუ ჰალი გუნდური ტაქტიკის მსხვერპლი გახდა, ორმა სნაიპერმა საგრძნობლად მოუმატა და მდევრები საკმაოდ ჩამოიშორა. ანაჰაიმელმა სელიანემ აგერ უკვე მე-11 შედეგიანი მატჩი ჩაატარა, სეზონში მე-2, კარიერაში კი მე-13 ჰეთ-თრიკი შეასრულა და 18 შაიბით სნაიპერთა დავაში ერთპიროვნულად დაწინაურდა. მან ყველაფერი გააკეთა გუნდისთვის, მაგრამ ამჯერად სან ხოსემ მაინც აჯობა ანაჰაიმს.

ამასობაში სელიანეს მთავარმა კონკურენტმა ჯონ ლეკლერმა ოტავასთან შეხვედრაში ვერაფრით გამოიჩინა თავი, თუმცა, ფილადელფიამ მაინც შეძლო მინიმალური სხვაობით გამარჯვება. ერთადერთი შაიბა კოფის (2) ანგარიშზეა, გოლკიპერმა ჰექსტოლმა კი მე-20 „მშრალი“ მატჩი ჩაატარა. ფილადელფია მეტად მოუხერხებელი მეტოქეა ოტავასთვის, რომელიც ზედიზედ მე-11-ედ დამარცხდა „მფრინავებთან“ და თავის ისტორიაში მათ ვერცერთხელ მოუგო.

ნიუ ჯერსი კვლავ წარმატებით, 1995 წლის ფლეი-ოფის დარად ასპარეზობს. ისევე, როგორც მაშინ, ახლაც ბრწყინვალე ფორმაშია გოლკიპერი მარტინ ბროდო — სწორედ მისი დამსახურებაა ის, რომ „ეშმაკთა“ დაცვა შეუვალია.

წამყვანი ცენტრის — ჟამნოვის გარეშე დარჩენილი ჩიკაგო ზედიზედ ხუთი მოგების შემდეგ შეფერხდა. კალგარისთან შეხვედრაში „ქორები“ ახლოს იყვნენ გამარჯვებასთან, მაგრამ კესელზმა ბოლო წუთზე სტუმრები ზედიზედ მე-5 მარცხისგან იხსნა. სხვაგვარად იყო ტორონტოსთან: მას ჩიკაგომ ვერ აჯობა, სამაგიეროდ, ჩხუბში იმარჯვა. ლიგის ყველაზე გავლენიანმა „პოლიციელმა“ ბობ პრობერტმა მეტოქის „მეომარი“ კრის კინგი სცემა.

ტამპა და ვანკუვერი, ეტყობა, „საუკეთესო აუტსაიდერის“ წოდებისთვის იბრძვიან და ერთმანეთს უხეირობაში ეჯიბრებიან. გამონაკლისი არც გასული დღეები იყო. ტამპა — ფინიქსის მატჩის ბედი ჩინებულ ფორმაში მყოფმა ტკაჩუკმა (2+1, 10) გადაწყვიტა, ტამპამ კი უიღბლო სერია 13 მატჩამდე გაზარდა.

თუ ტამპა უბრძოლველად მაინც არ დანებდა ფინიქსს, ვანკუვერელთა ინერტულობა და უსუსურობა ლოს ანჯელესთან გასაოცარი იყო — კანადელები ზედიზედ მე-10 მარცხისგან ვერც კლუბში დაბრუნებულმა მოგილნიმ იხსნა.

ბუფალოელმა დოუმ (11) ედმონტონთან შეხვედრის მეორე პერიოდში სამი გოლი გაიტანა, რაც კლუბის ახალი რეკორდია. ედმონტონი მაკჯილისის (2) ძალისხმევით მაინც გადაურჩა წაგებას.

ფლორიდელმა მელანსომ კარიერაში მე-500 ქულა დააგროვა, ფილადელფიელმა დეჟარდენმა კი — მე-300.

### სამველ ლარიბიანი

+/- — (ნაყოფიერების კოეფიციენტი): პრონგერი (სენტ ლუისი), ლეკლერი, ლინდროსი, ბუბრუსი (სამივე — ფილადელფია) და ჰოლიკი (ნიუჯერსი) 12, კურტნოლი (სენტ ლუისი), დრაივერი და გრეცკი (ორივე — რეინჯერსი) 11.

გოლკიპერები: ბროდო (ნიუჯერსი) 1,65 გოლი ერთ მატჩში, ტაგნატი (ოტავა) 1,72; ტიბო (მონრეალი) 1,90; ჰრუდი (სან ხოსე) 1,91; ოსგუდი (დეტროიტი) 1,99; დაფო (ბოსტონი) და ფიური (სენტ ლუისი) 2,05.

ევროპელები: სელიანე (ანაჰაიმი, ფინეთი) 24 (18+6), იაგრი (პიტსბურგი, ჩეხეთი) 21 (7+14), ფორსბერგი (კოლორადო, შვედეთი) 21 (4+17), პალფი (აილენდერსი) 20 (11+9), შტუმპელი (ლოს ანჯელესი, ორივე — სლოვაკეთი) 19 (7+12), რაიჰელი (აილენდერსი, ჩეხეთი) და იაშინი (ოტავა, რუსეთი) 19 (6+13), ლიდსტრიომი (დეტროიტი, შვედეთი) 17 (6+11), კოივუ (მონრეალი, ფინეთი) და მალახოვი (მონრეალი, რუსეთი) 16 (4+12), სუნდსტრიომი (რეინჯერსი, შვედეთი) 15 (5+10), ლარიონოვი (დეტროიტი) 15 (3+12), ბურე (ვანკუვერი, ორივე — რუსეთი) 15 (7+8).

ახალბედები: შტურმი (სან ხოსე) 10 (3+7), ოლუნდი (ვანკუვერი) 9 (1+8), ე. მესიე (კოლორადო) 8 (3+5), მორისი (კალგარი) 7 (3+4), იზბისტერი (ფინიქსი) 6 (4+2), ბულისი (ვაშინგტონი) და ატჩინამი (სენტ ლუისი) 6 (2+4), სამსონოვი (ბოსტონი) 6 (1+5)



ჩიკაგოელმა პრობერტმა ტორონტოელი კინგი დასცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კრივი



# ლას-ვეგასური დიდ-ბათქის დასურათებული ბოლო-თქმა



ევანდერ ჰოლიფილდი მუჰამედ ალის გაუტოლდა. მან ტიტული მეორედ დაიბრუნა იმ მოკრივის ძლევით, ვისთანაც ადრე საჩემპიონო შებმა წაუგია და სარტყელი დაუკარგავს.

ჰოლიფილდის ბოლო მსხვერპლი მაიქლ მორერი იყო. მას ევანდერმა შაბათს, ლას-ვეგასში, რვა რაუნდში, ტექნიკური ნოკაუტით აჯობა. ამით ვბა-ის ჩემპიონმა სამი-წლი-ნახევრის წინდელი წაგებისთვის აიღო რევანში.

მორერის გარდა ჰოლიფილდს რიდიკ ბოუც გაულახავს და მის მიერვე წართმეული ერთბაშად ორი სარტყელი დაუბრუნებია. და კიდევ, ევანდერს ორჯერ დაუმარცხებია მაიკ ტაისონი და თანამედროვეობის ორ დიდ ჩემპიონსაც — ჯორჯ ფორმენსა და ლარი ჰოლმსს მორევია.

ერთადერთი, ვისთანაც ჰოლიფილდს არ უკრივია, ბრიტანელი ლენოქს ლუისია. ეს განსწავლული ზანგი (ამბობენ, უმაღლესი მათემატიკაც იცისო!) ვბკ-ის ჩემპიონია, ჰოლიფილდს კი ვბა-ისა და იბფ-ის სარტყლები უპყრია. როგორც ვარაუდობენ, ჰოლიფილდ — ლუისის შერკინება გაისად აპრილამდე უნდა გაიმართოს, თუკი ამას კრივის ბობოლა პრომოუტერები და ამერიკის ფასიანი ტელე-არხები ინებებენ.

ჰოლიფილდი ამბობს, წარსული აღარ მაინტერესებს, მომავალში კი ლუისთან შეხვედრის მეტს ველარაფერს ვხედავ; ჩემპიონის ტიტულის გაერთიანება ჭეშმარიტად დიდი საქმეა და ლუისიც ჩემს მეტოქეთა კოლექციას გაასრულებსო.

ლუისიც ამავ ჭკუაზეა. ბოუ რინგიდან ისე წავიდა, რომ ლენოქსს არ ეკრივა, ვბკ-ის სარტყელი კი უბრძოლველად დაუთმო. მეორედ იყო და იმავე წოდებაზე ტაისონმაც ნებით აიღო ხელი, ოღონდაც იგი ლუისისგან არ დაეცვა. ამასობაში ლენოქსმა ვბკ-ის სარტყლის დაკარგვა, მერე დაბრუნება, ბოლოს კი ორჯერ დაცვაც მოასწრო, მაგრამ მეტოქეებად სიაფანდები — ბრიტანელი ჰენრი აკინვანდე და ექს-პოლონელი ანჯეი გოლოტა ყავდა.



ლენოქსს ღირსეული მეტოქე — ჰოლიფილდი ენატრება. კიდეც ამბობს, ევანდერს თავი მსოფლიოში უძლიერესად მიაჩნია, მაგრამ მე სხვაგვარად ვფიქრობ; შაბათსაც მორერს ბოლოშიღა მოერია. ეტყობა, ტაისონთან ორგზის კრივმა კაცს სიქა გააცალაო.

ჰოლიფილდის საკარიერო მონაგარი 35 მოგება და 3 წაგებაა. გამარჯვებებიდან 25 ნოკაუტითაა მიღწეული. ლუისის ანალოგიური ბალანსი 32 მოგება, 26 ნოკაუტი და ერთადერთი მარცხია — ოლივერ მაკქოლთან, ვინაც მერე და მერე ლენოქსს რინგზე აუტირდა და საგიჟეთშიც მოხვდა, მაგრამ ახლა იმდენად მოჭკვიანებულა, რომ წინა კვირაში რინგს დაუბრუნდა და ნეშვილში (ტენესის შტატი) 8 რაუნდში ტექნიკური ნოკაუტით დაამარცხა ვინმე ბრაიან იეითსი.

ლუისს უთქვამს, კრივი მწადია; ჰოლიფილდისა და ხალხის სურვილიც იგივეა; სხვა რამის გაგონება საზოგადოებას არცა სურს. ვიდრე ევანდერთან შერკინების თარიღს დამინიშნავდნენ, ჩემდათავად არავისთან დავგეგმავ შებმას, მერე კი ვნახოთო.

ვალერი ჯიქია



თავ-ოფოთა დონ კინგმა ევანდერ ჰოლიფილდს ორი საკრივო გაერთიანების ჩემპიონის სარტყელი მოაგებინა, მაგრამ მესამის მოპოვების შანსს მიცემს თუ არა, ჯერ კიდევ საკითხავია.

როიტერის ფოტოები

ჰოლიფლდმა მორერს V, VII და VIII რაუნდებში ხუთი ნოკდაუნი აწვნია. რეფერი მიჩ ჰელპერნსაც რა დარჩენოდა — 12-რაუნდა შერკინება მაშინ შეწყვიტა, ხეირის ოდენ ორი მესამედი რომ გასრულებულიყო

## აფროსნობა



# რისკმა გაამართლა

ყველა სტადიას თავისი გმირი ყავს. „სვიდიშ მეჩი" საუთჰემპთონიდან ქეიფთაუნში VIII მიცურდა, მაგრამ ფლოტილიამ აფრიკიდან დასავლეთი ავსტრალიისკენ რომ გაუტია, მას აქეთ ლიდერობს და უპირატესობას მეთოდურად ზრდის.

ნავს გუნარ კრანცის მხარდამხარ ზელანდიელი ერლ ვილიამსი თანა-სკიპერობს. სწორედ ამ წყვილის (ფოტოზე) ალღომ დააწინაურა იახტა ყინულოვან სამხრეთ ოკეანეში, სადაც კრანცის თქმით წყალი რუხია, ჰაერი გამჭვირვალე, ატმოსფერული წნევა თანდათან ეცემა და სუსხიც ძვალ-რბილში ატანს.

„მეჩმა" გარისკა. ქარის ძიებაში გეზი თავიდანვე ერთობ სამხრეთით დაიჭირა და გაუმართლა. არადა, სკიპერები შიშობდნენ, აფროსნობაში თეორია ხშირად პრაქტიკაში ვერ ამართლებს ხოლმეო.

ლიდერი ერთთავად ძლიერ, 12-15 კვანძა დასავლეთის ქარში მისრიალებს. კვირა დილით უახლოეს მდევარს 44,5 მილს უგებდა, ორშაბათს 86,6-ს, სამშაბათს 158,3-ს, გუშინ კი სხვაობამ 200-ს გადააჭარბა. ჰოდა, „მეჩის" თავკაცებიც ამბობენ, ლიდერობა დიდებული რამ ყოფილაო!

ამასობაში მდევართა შორის დიდი არეულობაა. I სტადიის გამარჯვებული „ლენგვიჯი" სამშაბათს ბოლოსწინა ადგილზე იყო და ოდენ თანაგუნდელ გოგოებს უსწრებდა, მაგრამ მერე თავი დაალწია კეთილი იმედის კონცხისგან 300 მილით დაშორებულ უქარო ადგილს.

მიხო ნინუა

### ვითბრედის გარსაქვეყნო ნაოსნობა ვოლვოს თასზე

II სტადია. ქეიფთაუნი — ფრიმენთლი

8 - 24 ნოემბერი (4600 მილი)

ვითარება გუშინ, გრინვიჩის დროით 06.00 საათზე

| იახტა | დროშა | ქ | სკიპერი | დარჩა |
|---|---|---|---|---|
| სვიდიშ მეჩ | შვედეთი | 36 | კრანცი | 3812.3 |
| ინოვეიშნ კვერნერ | ნორვეგია | 97 | ფროსტადი | +205.4 |
| ტოშიბა | აშშ | 60 | სთენდბრიჯი | +283 |
| ბრიუნელსანერჯი | ჰოლანდია | 12 | ბუსხოლცი | +344.9 |
| ი-ეფ ლენგვიჯ | შვედეთი | 125 | კაიარდი | +361.2 |
| მერით ქაფ | მონაკო | 110 | დოლთონი | +368.6 |
| სილქ ქათ | ბრიტანეთი | 84 | ლ. სმითი | +371 |
| ჩესი რეისინგ | აშშ | 72 | დ. სმითი | +377.6 |
| ი-ეფ ედუქეიშენ | შვედეთი | 24 | გიუ (ქალი) | +403.6 |

## რაგბი

### საქართველოს XXX პირველობა

შემოდგომის სტადია

ა ჯგუფი

VIII ტური

10.11. ავლაბარი. ასკ 19 (5) (3ლ: აბუსერიძე 2, მაგრაქველიძე; 2გ: აბუსერიძე) — ყოჩები 31 (19) (5ლ: მხეიძე, ნიკლაური, გულუხია, საჯარიმო, ბოგვერაძე; 3გ: ტეფნაძე). მსაჯი გოჩა აბაშიძე

ჭყონდიდლის დასახლება. რუსთავის აზოტი 17 (7) (2ლ: ჯიმშელაძე, მთიულიშვილი; 2გ და ს: ე. ძაგნიძე) — ქუთაისის აია 17 (8) (ლ: ხონელიძე; 3ს: შვანგირაძე; ა: შერვაშიძე). მსაჯი ნოდარ რობიტაშვილი

12.11. ვაკე. ლოკომოტივი (ყოფილი ქორები) 13 (8) (2ლ: ხუადე, კობახიძე; ს: ძნელაძე) — გუმარი 13 (3) (ლ: მჭედლიშვილი; გ და 2ს: მოდებაძე). მსაჯი რამაზ სანებლიძე

| რჩება 2თ | თ | მ | ფ | წ | ბ | ლ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ყოჩები | 20 | 18 | 1 | 1 | 541:240 | 63-20 | 37 |
| აზოტი (რ) | 20 | 14 | 2 | 4 | 393:251 | 52-19 | 29 |
| ლოკომოტ. | 20 | 10 | 2 | 8 | 355:260 | 38-26 | 22 |
| აია-ჰეი (ქ) | 20 | 10 | 1 | 9 | 371:313 | 45-31 | 20 |
| გუმარი | 20 | 7 | 2 | 11 | 347:379 | 40-40 | 14 |
| ასკ | 20 | 3 | 0 | 17 | 190:553 | 23-86 | 6 |

პლეი-ოფში ოთხი მოწინავე გადის

IX ტური. 15 (შაბ): ყოჩები — აია; 16 (კვი) გუმარი — ასკ; 17 (ორ): ლოკომოტივი — აზოტი

ბოლო, X ტური. 21 (პარ): აზოტი — ყოჩები, აია — გუმარი, ასკ — ლოკომოტივი

# წავუთვლიმოთ პლეი-ოფამდე!

თუ ვინ ვის უნდა შეხვდეს ნახევარფინალში, ფორმალურად ჯერაც გასარკვევია. ერთი კია, ეს მატჩები ვაკესა და რუსთავში გაიმართება.

გუნდებს, ეტყობა, თავისთვის ყველაფერი გაურკვევიათ და მეორე ეტაპის ნაშთს ჰაიჰარად ეკიდებიან. ამის ნათელი დასტური იყო გუშინდელი მატჩი, რომელიც ვაკეში მზიან დარში გაიმართა და პუნქტუალურად, 4 საათზე დაიწყო.

„ლოკომოტივს" აკლდნენ ეროვნული გუნდის შუამარბი ალანია და ჰაბუკთა ნაკრების კაპიტანი, ნახევარმცველი კვინიხიძე. გარემარბებად რკინიგზელებს ორი ახალბედა ეყენათ. მათ თანაგუნდელებისგან გამორჩეულად ეცვათ: მარცხენა წითლად შემოსილიყო, მარჯვენა — ლურჯად. გარდა ამისა, „ლოკომოტივს" დაბრუნებოდა ბებერი და ცნობილი მეორეხაზელი თამაზ ხუადე, ვინაც გუნდში 1983 (!) წლიდანაა.

„გუმარს" 9 ნომრად ეყენა ნაკრების 9 ნომერი მოდებაძე, ვისაც კლუბში ამ ადგილას არ ათამაშებენ. სხვაფრივ, შარშანდელ ჩემპიონებს გამოცდილ შუამარბ ბესელიასა და ნორჩ ფლანკერ ზედგენიძის მეტი არავინ კლებიათ.

თამაში ვერაფერი სანახავი იყო. კი ბატონო, ცალკეულ მონაკვეთებში გაჩაღდებოდა ბურთაობა, მაგრამ მოგების ჟინი ორივე გუნდს აშკარად აკლდა. გარდა ამისა, მოთამაშენი ეტყობა საჯარიმოებიდან ლელოს გატანაში ხელოვანდებოდნენ და კარში დარტყმის ნაცვლად ბურთს მალი-მალ ათამაშებდნენ.

„ლოკომოტივი" თავიდან 5:0 და 8:3 იგებდა. მერე წინ „გუმარი" გავიდა 13:8. ბოლოს რკინიგზელებმა გაათანაბრეს ანგარიში, გარდასახვამ კი წვრილმანი დავა გამოიწვია.

დასარტყამი საჯარიმო „გუმარმა" სამჯერ გაათამაშა და ერთი ძალისმიერი ლელო გაიტანა. „ლოკომოტივის" ანალოგიური სტატისტიკა ხუთიდან ერთია. სხვაფრივ, ტრიბუნებზე ჭორად გაისმა, რკინიგზის გუნდი პლეი-ოფში მონაწილეობას არ აპირებსო.

მატჩს თვალს ადევნებდა გია რაფავა, ვინაც როცა საფრანგეთში არაა, რუსთავის „აზოტში" თამაშობს. ამ კლუბმა პლეი-ოფის წინ პენზის (რუსეთი) რკ-ის ფლანკერი ლაბაძეც რომ აიმატა, ეტყობა, ჩემპიონობას სერიოზულად ფიქრობს.

ზაზა ფხაკაძე

### მსოფლიო თასის შესარჩევები

ევროპა

შემდეგ, ბოლო ევროპულ სტადიაზე გადის ორი მოწინავე

ბ ქვეჯგუფი. 8.11. ანდორა 3 (0) (ს) — ესპანეთი 62 (29) (10ლ, 6გ) (2 ათასი მაყურებელი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 2 | 2 | 0 | 0 | 87: 28 | 4 |
| ესპანეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 62: 3 | 2 |
| ჩეხეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 62: 51 | 2 |
| პორტუგალია | 0 | 0 | 0 | 0 | 0: 0 | 0 |
| ანდორა | 3 | 0 | 0 | 3 | 34:163 | 0 |


### ტესტ-რაგბი

ინგლისი

სამხრეთი ნახევარსფეროს წინააღმდეგ

ტელეკომპანია VII არხის შემწეობით

ზედიზედ ოთხ შაბათ დღეს

პირდაპირ! ჩვენი დროით 19 საათზე!

15 ნოემბერს
ავსტრალიის
ვოლაბიზი

22 ნოემბერს
ახალი ზელანდიის
ოლ ბლექსი

29 ნოემბერს
სამხრეთი აფრიკის
სპრინგბოქსი

6 დეკემბერს
ახალი ზელანდიის
ოლ ბლექსი



# სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
ზურაბ მეძველია

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
ილია მხეიძე, ავთანდილ სვანიძე, ლევან ჯავახიშვილი

კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე

კორესპონდენტი ლონდონში
დავით მჭედლიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე

სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი

კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ვანო კიკნაძე, ლევან ჩხეიძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29


# ქურუმის იუბილე რაგბითვე აღინიშნება

ქართველი ვეტერანი მორაგბეების საძმო ფრიად ფაცი-ფუცშია. ჩვენს ქვეყანაში რაგბის შემომტანს, ცნობილ მწვრთნელს, მსაჯსა და ორგანიზატორს, ბატონ ბიჯი მრელაშვილს ახლახანს 60 წელი შეუსრულდა.

ბებერი ხარები იქეთა შაბათს, 22 ნოემბერს, ვაკეში დიდი ბურთაობის გამართვას აპირებენ. რაგბი სამი გაჩაღდება: ჯერ 50-ს გადაცილებულები ორ 10 წუთს წაითამაშებენ, მერე 40-ს გადაბიჯებულნი ორ 20-წუთა შებმას გამართავენ, ბოლოს კი ერთმანეთს მამები და შვილები წაეპაექრებიან.

ვაი ბებრების ბრალი! მორაგბე ვაჟები ხომ მამებზე მრავლად არიან და ძალაც მათზე მეტად ერჩით!

საიუბილეო ღონისძიება ტრადიციული სარაგბო ლხინით დაგვირგვინდება.